საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყვიღებით და ჭიერებით ბეჭდის გაფანა ყველა უკარისიბებზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 4 მაისი. 2016 წ. №81 (7973), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქმნა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად!..



ბოტანიკური ბაღის მიმდებარე 29 ჰექტარი მიწის ტერიტორია 6 326 495 ლარად გაიყიდა

ბოტანიკური ბაღის მიმდებარე 29 ჰექტარი მიწის ტერიტორია 6 326 495 ლარად გაიყიდა. აუქციონში მხოლოდ ერთი სუბიექტი მონაწილეობდა, რომელმაც ფასი მხოლოდ ერთხელ შესთავაზა და მიწის ნაკვეთიც საბოლოოდ შეთავაზებულ ფასად გაიყიდა.

კრწანისი-შინდისის გზის მიმდებარედ არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აუქციონზე თანაინვესტირების ფონდის შვილობილმა კომპანიამ შეიძინა.

თბილისის მერის პირველი კომენტარი

ბოტანიკური ბაღის თემაზე პირველ კომენტარს აკეთებს დავით ნარმანია. იგი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობით ყველაფერი წესრიგშია. მე ვიცნობ პროექტთან დაკავშირებულ დეტალებს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროექტი მხოლოდ გამოადგება ქალაქს და ჩვენს თანამოქალაქეებს.

ეს ტერიტორია არასდროს ყოფილა ბოტანიკური ბაღის საკუთრება!

თბილისის მერია ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით ასეთ განცხადებას ავრცელებს:

> **დასრულდა თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებული აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იყო ოქროყანის ტერიტორიაზე არსებული 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. აუქციონის პირობების თანახმად, გასაყიდი ტერიტორიის საწყისი ფასი 6 233 000 ლარს შეადგენდა. აუქციონში მონაწილეობა ერთმა პრეტენდენტმა მიიღო. გაყიდული ქონების ფასმა 6 326 495 ლარი შეადგინა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.**
>
> **აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სამშენებლო ნებართვის აღებიდან არაუგვიანეს 36 თვის ვადაში, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 თვის ვადაში, განახორციელოს 80-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 კვ.მ. აუქციონში გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, რეკრეაციული სივრცის განვითარება და საირიგაციო სისტემის მოწყობა.**
>
> **მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, განვმარტავთ, რომ აღნიშნული ტერიტორია არასდროს ყოფილა ბოტანიკური ბაღის საკუთრება!**

ხეტიტა, ბიძინას მადლი და მუცელატკივებული მიშისტები

უტყუარი წერილები მაგნოლიების ქალაქიდან ⑤

„ქალაქი უნდა აშენდეს ისე...“

⑨

რუსული აგრესიის ფონზე ამერიკა მოკავშირეების დაცვას აძლიერებს

②

...მიცვალებულმა ცოცხალი ბეჭებზე გააკრა!

წარსულისთვის ანგარიშის გასწორებას დღესაც ბევრი ძველებურად ცდილობს

⑥

პატრიარქის საალდგომო ეპისტოლედან

③

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

რამდენი პოტენციური ამომრჩეველია საქართველოში?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტებით, პოტენციური ამომრჩეველის რაოდენობასთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტროსა და საქსტატის მონაცემებს შორის არსებული სხვაობა ერთმანეთისგან განსხვავებული დათვლის მეთოდიკით არის განპირობებული.

საქსტატის აღრიცხვის მიხედვით, საქართველოში 3 700 000 პოტენციური ამომრჩეველია რეგისტრირებული, ხოლო იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, ამომრჩეველთა რაოდენობა 3 500 000-ს შეადგენს.

„განსხვავება არის იმის გამო, რომ სიების შედგენისას გამოიყენება ორი სხვადასხვა მეთოდი. საარჩევნო სიების მომზადებისას, იუსტიციის სამინისტრო აკვირდება ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საქართველოს მოქალაქეობა, ანუ ეს არის ის ადამიანი, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს. ხოლო საქსტატი თვლის მუდმივ მოსახლეობას, ანუ იმ მოსახლეობას, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე“, — განაცხადა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ თენგიზ ცეკვავამ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ იყო გაყალბებული

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგლა ჟვანია დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობით მოვა და იმაზე უკეთესი შედეგი ექნება, ვიდრე მას წინა საპარლამენტო არჩევნებზე ჰქონდა.

როგორც ჟვანიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ქართული ოცნება“ ოქტომბრის არჩევნებში გადამწყვეტ წარმატებას მიაღწევს.

„მიზეზი ძალიან მარტივია — 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები მნიშვნელოვანწილად — დაახლოებით ნახევარი მილიონი ხმით ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ იყო გაყალბებული. უბრალოდ, ნაციონალებს გაყალბების, კარუსელების, დაშინების რესურსი არ ეყოთ იმ მხარდაჭერის გადასაფარად, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ „ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა“, — განაცხადა ჟვანიამ.

მისივე აზრით, არჩევნებში მეორე ადგილზე ისევ ნაციონალური მოძრაობა გავა და პარლამენტში დაახლოებით 15-17 დეპუტატით შევა.

კითხვაზე, თავად მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ჟვანიამ განაცხადა, რომ პარტიაში საარჩევნო სიასა და მაჟორიტარობის კანდიდატებზე საუბარი ჯერ არ ყოფილა.

ნინო ბურჯანაძე: ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მოგვატყუა უკვე საარჩევნო სიასთან დაკავშირებით

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ხელისუფლებას საარჩევნო სიების ხელოვნურად გაზრდასა და არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებს. ბურჯანაძე მთავრობას ამომრჩეველთა სიის რეფორმირების შესახებ რამდენიმე წლის წინ დადებულ პირობას ახსენებს.

„ორი არჩევნები ძველი სიით უკვე ჩატარდა, ახლა აპირებენ, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს იმ სიით, სადაც 3 მილიონ 500 ათასი ამომრჩეველია. ყველამ იცის, რომ 3 მილიონ 500 ათასი საქართველოში მოსახლეც კი არ არის. დღეს სრულიად ნათელია, რომ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთხელ მოგვატყუა უკვე საარჩევნო სიასთან დაკავშირებით და სრულიად ნათელია, რომ დაახლოებით 700 ათასი ხმით მანიპულირებას აპირებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, ეს კი ნამდვილად ძალიან მძიმე შედეგებს გამოიწვევს“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ჩვენი ყოფის ანატომია

აპრილში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 0,6 პროცენტი შეადგინა.

2010 წლის საშუალოსთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 17,0 პროცენტით გაიზარდა.

საქსტატის ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები შემცირდა 0,7 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,23 პროცენტული პუნქტით აისახა. აღნიშნული კლება უმეტესწილად განპირობებული იყო ფასების შემცირებით შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (-6,0 პროცენტი) და ბოსტნეული და ბაღჩეული (-2,2 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები შემცირდა 1,9 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე — 0,19 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (-7,2 პროცენტი);

ფასების 1,6-პროცენტიანი მატება დაფიქსირდა ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფზე, რამაც 0,10 პროცენტული პუნქტით იქონია გავლენა თვიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები ძირითადად გაიზარდა თამბაქოს ნაწარმზე (2,5 პროცენტი).

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზარდა 14,7 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,89 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების ზრდა ძირითადად დაფიქსირდა თამბაქოს ნაწარმის ქვეჯგუფზე (22,6 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 7,5 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,72 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები ძირითადად მომატებულია სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების (10,2 პროცენტი) და ამბულატორიული

სამედიცინო მომსახურების (10,3 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 1,9 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,58 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მნიშვნელოვანი მატება შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (14,9 პროცენტი) და ზეთი და ცხიმი (7,8 პროცენტი). ფასების შემცირება დაფიქსირდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (-9,3 პროცენტი);

ფასები 6,1 პროცენტით შემცირდა ტრანსპორტის ჯგუფზე, რაც -0,75 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

ფასები ძირითადად შემცირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-15,7 პროცენტი). ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო მომსახურებაზე (1,4 პროცენტი).

რუსული აგრესიის ფონზე ამერიკა მოკავშირეების დაცვას აძლიერებს

რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, აშშ-ის კონგრესის შეიარაღებული ძალების კომიტეტი 3,4 მილიარდ დოლარის გამოყოფის საკითხს განიხილავს. კონგრესში აცხადებენ, ვაშინგტონის მთავარ მიზანს აღმოსავლეთ ევროპაში წარმომადგენლობის არსებობა და მოკავშირეების მხარდაჭერა წარმოადგენს. 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, რუსეთის აგრესიასთან საბრძოლველად გათვალისწინებული თანხის უმეტესი ნაწილი აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას მოხმარდება.

ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დახმარება. ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ ეს ქვეყნები, მოსკოვის მხრიდან ზეწოლას ყველაზე მეტად განიცდიან.

პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ რუსეთის აგრესიასთან საბრძოლველად შესაბამისი ფინანსური დახმარების გამოყოფაზე დიდი ხანია საუბრობს, როგორც აშშ, ასევე ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

რუსეთის აგრესიის შესაკავებლად, აშშ-ის კონგრესის შეიარაღებული ძალების კომიტეტში საკითხის განხილვას, მნიშვნელოვანს უწოდებს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, რომლის განცხადებით, ძირითადი თანხები მიმართული იქნება მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის და კერძოდ, ნატოს აღმოსავლეთის ფლანგის გასაძლიერებლად.

„უდავოდ, ამაში იგულისხმება ნატოს არაწევრი პარტნიორები, როგორიც არის საქართველო. ძირითადი ღონისძიება იქნება შეიარაღების გაძლიერება და ბაზების განლაგება. ყველა ეს ღონისძიება ეხება ნატოს წევრ სახელმწიფოებს და მათ შორის შავი ზღვის სახელმწიფოებს. ასე რომ, ეს არაა მხოლოდ უკრაინა, საქართველო, მოლდოვა, არამედ ეს არის რუსეთის აგრესიული ქმედების პასუხად ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის მთლიანად გაძლიერება და პრევენცია აგრესიული ქმედების შესაჩერებლად.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მენაღარიშვილი აცხადებს, სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში აშშ უკვე ეხმარება საქართველოს. მისივე თქმით, მთლიანად დასავლეთი და აშშ გაძლიერებულ ყურადღებას უთმობენ აღმოსავლეთ ევროპის ამ ნაწილს.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში შორენა ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ასეთი დისკუსიები კონგრესში ხშირად იმართება, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჭირს. როგორც ლორთქოფანიძე აცხადებს, დღეს, როდესაც სახეზეა რუსული აგრესია, სავარაუდოდ, კონგრესი გადაწყვეტილების მიღებაში ერთსულოვანი იქნება.

„როდესაც კონგრესი ასეთ საკითხებზე იწყებს მსჯელობას, მას გარკვეული მოსამზადებელი პერიოდი გავლილი აქვს. პოლიტიკურ ძალებს შორის მიღწეულია კონსენსუსი, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია. ბუნებრივია, ეს ძალიან დადებითად იმოქმედებს ჩვენი უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით“, — აცხადებს შორენა ლორთქიფანიძე.

მისივე განცხადებით, საქართველოს უსაფრთხოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დასავლეთისა და აშშ-ის მხარდაჭერა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი კონგრესის ამ გადაწყვეტილებას ადვილად არ შეეგუება.

— რასაც დასავლეთი აკეთებს, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი უსაფრთხოებისთვის. თუმცა, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა და ის, რომ დასავლეთის მხრიდან კონკრეტულ ნაბიჯებს რუსეთის მხრიდან მოჰყვება კონტრმუქარები. ამის ნათელი მაგალითია აღმოსავლეთ უკრაინა. სამწუხაროდ, პერმანენტული საფრთხის პირობებში ვართ. ამიტომ, საფრთხეებზე ფიქრიც და პრევენციაც, ძალიან მნიშვნელოვანია..

თამთა ძარჩავა

დაგვიხსნის ჩვენ უფალი ყოველი ბოროტი საქმისგან, რადგან გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

თითოეულ ჩვენგანს სასწაულთმოქმედების უდიდესი უნარი გვაქვს; თუ ღმერთს მივეახლებით და ცოდვებისაგან განვთავისუფლდებით, ჩვენს სულში დიდი ცვლილების მომსწრენი გავხდებით. ამისი მაგალითნი არიან წმინდანები. ისინიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორიც ჩვენ ყველანი, ბევრ მათგანს ადრე ჩვენზე არანაკლები სისუსტეებიც შეიძლება ჰქონდა, მაგრამ სინანულით, აღსარებით, ზიარებით და სულიერი ღვაწლით ზეციურ სასუფეველს მიაღწიეს. ამიტომაც წერს ნეტარი ავგუსტინე, წმინდანთა რიცხვი ყოფილ ცოდვილთა რიგებიდან მრავლდებაო.

მართალია, უფლის ნათლისღებით ნათელვიღეთ და განვიბანეთ სულისა და ხორცის ბინძისაგან, მაგრამ ჩვენი დაცემული ბუნების გამო ნათლობის შემდეგაც არ ვიშლით ავ ზნეს და ვნებათა მონა ვხდებით ყოველდღიურად, რაც საუკუნო დაღუპვას გვიქადის.

– როგორ მოვიქცეთ?

– ღმერთს უნდა მივუახლოვდეთ.

– და რა გავაკეთოთ ამისათვის?

– უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე დაკვირვება, თითოეული ჩვენი ქმედების სწორი შეფასება, უნდა ვისწავლოთ ანალიტიკური აზროვნება, თეთრისა და შავის გარჩევა, რაც საშუალებას მოგვცემს ბოროტს განვეშოროთ და სიკეთეს ვემსახუროთ.

სამწუხაროდ, თუნდაც მორწმუნე, მაგრამ არაეკლესიური ადამიანების უმრავლესობასაც თავდაპირველად ჰგონია, რომ მათ, თითქოს, ცოდვა არა აქვთ, რომ კარგი თვისებებისანი არიან და არაფერი აქვთ სააღსარებო და მოსანანიებელი; მაშინ, როდესაც, მართლაც, წმინდად მცხოვრებნი გულწრფელად მიიჩნევენ, რომ უღირსნია და მათზე ცოდვილი სხვა არავინაა.

ნუ მივემსგავსებით მაცხოვრის გვერდით ჯვარცმულ იმ ავაზაკს, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზეც და ძელზე ყოფნისასაც ვერ გაიგო, რა იყო სიცოცხლის აზრი, ვერც ქრისტე შეიცნო, და კიდევ უარესი, – ბოლომდე შეურაცხყოფდა და დასცინოდა მას.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დავთმოთ მარადიული ნეტარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს; სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ლოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყებაო.

ისწავლე ლოცვა!

ლოცვა საუბარია ღმერთთან, გულისნადების მის წინაშე განფენაა, საკუთარი თავის მის შვილად შეცნობა და ღვთის მადლისა და შეწევნის მოპოვებაა; თუმცა სულიერი შრომა მარტო ლოცვას არ გულისხმობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს, რა თქმა უნდა, აგრეთვე, არის სწორი სულიერი აზროვნება და სულიერი ცხოვრება. ეს რომ შევძლოთ, უფლის მხსნელ მარჯვენას ხელი უნდა ჩავჭიდოთ და მასთან ვიყოთ განუშორებლად. მაშ, არ შევუშინდეთ დაბრკოლებებს, არ შევწყვიტოთ ბრძოლა განწმენდისათვის და ვიცოდეთ, რომ როგორი დაცემულიც არ უნდა ვიყოთ, უფალს ვუყვარვართ და გველოდება, ელოდება ჩვენს სინანულს.

საყოველთაო ჯანდაცვა, მთის კანონი, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები იმედით განგვაწყობს, თუმცა მათ მიერ განსახორციელებელი დახმარებების თაობაზე ხალხის ინფორმირებულობა მეტი უნდა იყოს, რომ მოსახლეობამ სრულად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები.

მრავალ პრობლემას ეშველება, თუ მოსახლეობა დასაქმდება, თუ მცირე ბიზნესი განვითარდება და სოფლის მეურნეობა აღორძინდება.

მეტი გასაქანი უნდა მიეცეს მინანქრის, ოქროსა და ვერცხლის დამუშავებას, მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებას, წყლის ექსპორტს, კერამიკის, შუშისა და თიხის წარმოებას, მცირე ჰესების მშენებლობას, ტურიზმს და სხვა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეისთვის საქართველოს შემოაქვს სოფლის მეურნეობის კვების პროდუქტების 80%; არადა ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა იმისა, რომ სრულად დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება და მის გატანაზეც იფიქროს. ამისთვის კი, უნდა გაძლიერდეს როგორც ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები.

ქრისტიანული ცხოვრება სერიოზული პრობლემების დაძლევას გულისხმობს. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ხშირად გვხვდება ცილისწამება, ღვარძლი, გაჭირვება, შური...და დგება ისეთი მომენტებიც, როცა ჩვენც აღმოგვხდება: „მამაო ჩემო! თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი“ (მთ. 26,39), ანდა „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევებ მე“ (მთ. 27,46), მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იმაზე დიდ ჯვარს არ მოგვცემს, რისი ტვირთვაც არ ძალგვიძს. ამიტომაც, გაჭირვების ჟამს მასვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვაწლი განვაძლიერეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს!

თანამედროვეობამ „სიახლის“ სახელით წინ წამოსწია „მეს“ პრინციპი, გართობა, ბუნდოვანი აზროვნება, ვულგარული მეტყველება, აქცენტი ნაწილზე და არა მთელზე... ანუ ის, რასაც არა აქვს დიდი დატვირთვა და სიღრმე.

სანაცვლოდ, დამამცირებლად წარმოაჩენენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ჭეშმარიტება, ღირსება, გონიერება, სამშობლო, მოყვასი და სხვა.

ასეთი ტენდენციები ახალგაზრდას პიროვნებად კი არა, მასის ნაწილად აყალიბებს და საშუალო დონის, ყველაფრის შემგუებელ არსებად აქცევს, რომელიც ცხოვრობს დღევანდელი დღით და მომავალი არ აინტერესებს.

შენ არ აჰყვე წუთისოფლის დინებას და მისგან შემოთავაზებულ განწყობას. ამა სოფლის სული არის სული სიცრუისა. იგი დღეს ერთ რამეს განადიდებს, ხვალ სხვას. განა ჩვენ მოწმენი არა ვართ იმისა, რომ რაც საზოგადოების ნაწილს 10-20-40 წლის წინ კარგად და მისაბაძად მიაჩნდა, დღეს მას დასცინის?! ასევე იქნება ცოტა ხნის შემდეგ იმ „ფასეულობების“ მიმართ, რასაც იგი დღეს ხოტბას ასხამს.

მოზარდებისათვის ყურადღების მიქცევა მკაცრ მოპყრობას არ გულისხმობს. პირიქით, ეს ისეთი ასაკია, როდესაც თქვენ, მშობლები, მათ მეგობრად უნდა ექცეთ, მეტი სითბო აჩვენოთ, დაინტერესდეთ მათი მიზნებით, ცხოვრების წესით, სამეგობრო წრით, რომ თანამდგომად მიგიღონ და გულახდილნი გახდნენ. ეს თქვენთვისაც აუცილებელია და მათთვისაც.

ეკლესიას დიდი სურვილი აქვს, მზრუნველობა გაუწიოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც ასაკის გამო ბავშვთა სახლებში აღარ აჩერებენ, წასასვლელიც არსად აქვთ და არც ცხოვრებისთვის არიან მომზადებულნი.

ჩვენ გამოვყავით როგორც ტერიტორია, ასევე შენობა და არასამთავრობო სექტორთან, ჯანდაცვის სამინისტროსა და მერიასთან თანამშრომლობით ვფიქრობთ, აქ გავხსნათ სახელობო-პროფესიული სასწავლებელი, სადაც 18 წლის გოგონებისა და ვაჟების გარკვეული რაოდენობა 23 წლამდე იცხოვრებს კიდეც და დამოუკიდებელი არსებობისთვისაც მოემზადება.

როდესაც ვსაუბრობთ, რომ დროებითი სიკეთენი უნდა დავთმოთ მარადიული ნეტარებისთვის, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მორწმუნე ადამიანი (საერო თუ სასულიერო პირი) ამქვეყნიურ ცხოვრებას მუდმივ მწუხარებაში ატარებს; სულაც არა. ცოდვასთან და სხვადასხვა ბოროტებასთან სულიერი ბრძოლა თუ ხდება ლოცვითა და ღმერთზე მინდობით, უფალთან უხილავი, მაგრამ რეალური ისეთი კავშირი მყარდება, ისეთი სხვა განცდა შემოდის, რომ იგი თავისი სიძლიერით ფარავს ნებისმიერ ტკივილს. ამიტომაც ამბობენ, რომ ამგვარად მცხოვრებთათვის სამოთხე დედამიწიდან იწყებაო.

◎ კონფლიქტის ზონა

ოკუპირებული საფლავების ჭირისუფალი

უშანგი ძოძაშვილი მეექვსე წელია, მშობლების საფლავზე არ ყოფილა. სოფელ ხურვალეთის სასაფლაო და სალოცავი მავთულხლართებს მიღმა, ოკუპირებულ ტერიტორიაზეა და ამ სოფლის მცხოვრები ოსები და ქართველები ნათესავების საფლავებზე ვერც დღეს გავიდნენ. ისინი რუსეთის მესაზღვრეებს არაერთხელ დაელაპარაკნენ, სთხოვეს, რომ აღდგომის დღეებში მაინც დაეშვათ გამონაკლისი, მაგრამ თხოვნა-მუდარამ არ გაჭრა. საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები დაჟინებით იმეორებენ, რომ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის დარღვევა დაუშვებელია.

უშანგი ქოქაშვილი მავთულხლართებთან მივიდა და ცოტაოდენი ღვინო და კვერცხები მშობლების საფლავზე მისატანად დათა პაპას გადააწოდა. დათა ვანიშვილი დღეს ყველა გარდაცვლილის ჭირისუფალია. რუსეთის მესაზღვრეებმა მისი სახლი მავთულხლართებს მიღმა მოაქციეს. 83 წლის საქართველოს მოქალაქე უცებ სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის მოქალაქედ გამოაცხადეს და სამშობლოში გადმოსვლა აუკრძალეს. დათა პაპამ ხურვალეთის ოკუპირებული სასაფლაო შემოიარა და ყველა საფლავზე, ტრადიციისამებრ, წითელი კვერცხი დატოვა.

ხურვალეთელი თამაზ მჭედლიძე გულისტკივილით ამბობს, რომ რუსეთის მესაზღვრეებს ქრისტიანული ტრადიციებიც აღარ ესმით და სოფლის სასაფლაოზე მიცვალებულების დამარხვასაც კრძალავენ.

არანაკლებ რთული ვითარებაა სოფელ კირბალში, სადაც ადგილობრივთა დაკავების რაოდენობა სულ უფრო იზრდება. კირბალელებს ტყის მასივთან ახლოს აკავებენ, სადაც არც მავთულხლართებია და არც ღობეები და საოკუპაციო ხაზი რუსეთის მესაზღვრეების სიტყვიერი ბრძანებით განისაზღვრება. კირბალის სალოცავი ოკუპირებულია, ოკუპირებულია ასევე სოფლის სასაფლაოს ნაწილი, თაყაძეების საგვარეულო სასაფლაო, სადაც ჭირისუფლებმა მისვლა ვერც დღეს მოახერხეს. კირბალის მცხოვრები გოგი პაპიტაშვილი ამბობს, რომ რუსეთის მესაზღვრეებმა რაღაც ნახაზები აჩვენეს და სასაფლაოზე მისვლა აუკრძალეს.

ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი მე-8 წელია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლას და ნათესავების საფლავების მონახულებას უშედეგოდ ითხოვს. ლეილა ზუბაშვილი კარალეთის დევნილთა დასახლებაში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. ერედვიდან დევნილ ოჯახს სოფელში შვილის საფლავი დარჩა. მათ არა აქვთ ინფორმაცია შვილის საფლავის მდგომარეობის შესახებ. დევნილმა ოჯახმა შვილის ფოტოები ნათესავებში შეაგროვა. ლეილა ზუბაშვილმა სანთელი დღეს ამ ფოტოების წინ დაანთო და წითელი კვერცხები დაალაგა.

ამ ჰუმანიტარული საკითხის მოგვარებას ქართული მხარე მერვე წელია, „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე უშედეგოდ ითხოვს, რუსული და ოსური მხარეები მუდამ უსაფრთხოების საკითხებზე აკეთებენ აქცენტს და პრობლემის გადაჭრაზე უარს ამბობენ. წელს მხოლოდ ახალგორის იმ მცხოვრებლებს მიეცათ ეგრეთ წოდებულ გამშვებ პუნქტზე შეუფერხებლად გადაადგილების საშუალება, ვისაც დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაცემული საშვი ჰქონდა.

გოგა აფციაური,
რადიო „თავისუფლება“

სოფლის მეურნეობა – რის პატრონები ვართ?

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა წარმოუდგენელია ამ სფეროში ხარისხიანი სტატისტიკის არსებობის გარეშე. გასულ კვირას საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა სასოფლო მეურნეობების აღწერის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ქვეყნის სოფლის მეურნეობის სფეროში 642.2 ათასი მეურნეობაა (მათ შორის, 640 ათასი – შინამეურნეობა) და 2.2 ათასი იურიდიული პირი საქმიანობს. მეურნეების 30.9 %-ს მეურნე ქალები შეადგენენ. რეგიონების მიხედვით, მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19.6 %), კახეთსა (15.1 %) და სამეგრელო-ზემო სვანეთშია (13.3%).

მეურნეობების მთლიანი რაოდენობიდან **574.1 ათასს** სარგებლობაში აქვს **სასოფლო-სამეურნეო მიწა,** ხოლო **დანარჩენ 68.1 ათასს არა აქვს.** მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურა, 2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ასეთია: **842.3 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწიდან 87.2 % საკუთრებაშია, ხოლო 12.8 % – დროებით სარგებლობაში.** მეურნეობების სარგებლობაში **787.7 ათასი ჰა** სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მათ შორის **86.5 % (681.1 ათასი ჰა) შინამეურნეობების,** ხოლო **13.5 % (106.6 ათასი ჰა) იურიდიული პირების სარგებლობაშია.**

ამ აღწერამაც დაადასტურა, რომ მეურნეობების უდიდესი ნაწილი მცირემიწიანია. **კერძოდ, მეურნეობების სამ მეოთხედზე მეტს (77.1 %) სარგებლობაში აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები** სასოფლო-სამეურნეო მიწა და მათზე სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების **21.5 %** მოდის.

შესაბამისად, მეურნეობების დაქუცმაცების პრობლემა კვლავ ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთან, აღწერა აჩვენებს, რომ რეგიონების მიხედვით განსხვავდება ის კულტურები, რომლის მოყვანაზეც მოსახლეობა აქცენტს აკეთებს. კერძოდ: **მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 40.1 % კახეთში, 15.5 %ქვემო ქართლში, ხოლო 9.7 % სამცხე-ჯავახეთშია.**

ყველაზე მსხვილი მეურნეობები, საქართველოს მასშტაბით, არის **კახეთში (3.6 ჰა), სამცხე-ჯავახეთსა (2.2 ჰა)** და **ქვემო ქართლშია (1.8 ჰა).**

ერთწლიანი კულტურებით ნათესი მიწის **44.6 %** უჭირავს **სიმინდს, 18.6 % – ხორბალს, 9.2 % - ბოსტნეულს, 9.2 % – ქერს.** მრავალწლოვანი ნარგავების **54.2 % ხეხილის** ბაღებს უკავია, **30.1 % - ვენახებს, 6.7 % – ციტრუსის პლანტაციებს,** ხოლო **4.2 % - ჩაის პლანტაციებს;** ხეხილის ბაღების უდიდესი ნაწილი სამეგრელო-ზემო სვანეთში ფიქსირდება – 22.8 ათასი ჰა, შიდა ქართლში – 12.7 ათასი ჰა, ხოლო კახეთში – 8.1 ათასი ჰა.

ვენახების ფართობების უდიდესი ნაწილი, როგორც მოსალოდნელი იყო, **კახეთში ფიქსირდება – 23.9 ათასი ჰა, იმერეთში – 5.0 ათასი ჰა, შიდა ქართლში – 1.0 ათასი ჰა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 0.7 ათასი ჰა.**

ნინო ევგენიძე

უმუშევრობის „გადათარგმნა“ საარჩევნო ენაზე

საარჩევნო წელს ყველაზე საჭირბოროტო თემა უმუშევრობა და მისი დაძლევის გზებია. როგორც ყოველთვის, ხელისუფლება ცდილობს შრომის ბაზარზე არსებული ვითარების პროგრესი დაანახოს საზოგადოებას, რომელსაც არაფრით სჯერა მთავრობის მონაცემების.

ეკონომიკის მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, **ქვეყანაში საშუალო ხელფასი გაიზარდა და 2012 წელთან შედარებით, უმუშევარათა რაოდენობა შემცირებულია. „2012 წელს საქართველოში უმუშევრობა იყო 15%, დღეს არის 12,5%. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ კერძო სექტორში გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ, 57 ათასი სამუშაო ადგილით მეტია შექმნილი 2012 წელთან შედარებით“,** – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ საშუალო ანაზღაურება ქვეყანაში 758-ლარიდან 1112 ლარამდეა გაზრდილი. შესაბამისად, მან ინფლაციური წნეხის შესუსტებაზეც გააკეთა აქცენტი.

ქვეყანაში სამუშაო ადგილები ძალიან ნელი ტემპით იქმნება და განსაკუთრებით პრობლემაა ახალგაზრდების დასაქმების კუთხით. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა ახალგაზრდებში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე. კვლევის მიხედვით, საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 15-29 წლამდე ახალგაზრდებში ფიქსირდება. ამ ასაკის ახალგაზრდებში სამუშაოს მაძიებელთა აქტიურობის დონე 60%-ს აღწევს, თუმცა უმუშევრობა 30,7%-ია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების დიდი ნაწილი (33,2%) უმაღლესი განათლებითაა.

საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი ევროპის საშუალო მაჩვენებელს (13,1%) თითქმის 2,5-ჯერ აღემატება.

„ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია 18-დან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებიც პირველად გადიან შრომით ბაზარზე. სიტუაციას ამძიმებს განათლების სისტემის პრობლემაც. საქართველოში ხარისხიანი საუნივერსიტეტო განათლების მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია. ახალგაზრდები საკუთარი არაკვალიფიციურობის გამო კარგ სამსახურს ვერ შოულობენ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ახალგაზრდებში პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების დაქვეითებასა და კარიერისტული სულის ამაღლებას“, – განუცხადა „კომერსანტს“ ექსპერტმა მათე გაბიცინაშვილმა.

საქართველო იცლება... სოფლები უკაცრიელდება...

საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგებმა ყველაზე რთული სურათი, როგორც მოსალოდნელი იყო, სოფლებში გამოააშკარავა. ზოგადად, ბოლო 12 წლის განმავლობაში ქვეყანაში მოსახლეობა თვალშისაცემად შემცირდა, მაგრამ კლება უფრო მეტად სოფლის მოსახლეობამ განიცადა.

2014 წლის აღწერის მონაცემებით, სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის კლებამ 23,7 პროცენტი, ხოლო ქალაქებში 7,1 პროცენტი შეადგინა. შედეგად, წინა აღწერებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა დასახლებული პუნქტების სტრუქტურაც: ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 4,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 57,2 პროცენტს გაუტოლდა მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობის წილი 43%-ს ჩამოცდა.

2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად, 162 სოფელი გაუკაცრიელებულია. დღევანდელი აღწერის შედეგებით კი დაცარიელებული სოფლების რაოდენობამ 162-დან 233-მდე მოიმატა. საქართველოს დემოგრაფიული ფონდი ამ მონაცემებს საგანგაშოს უწოდებს და იმედს „მთის კანონის“ ამოქმედებაზე ამყარებს.

„ამ შედეგების ფონზე საქართველოს მოსახლეობა, ალბათ, კიდევ უფრო აფასებს სახელმწიფოს მიდგომას მთიანი რეგიონების განვითარების შესახებ. ვიმედოვნებთ, ახალდამუშავებული „მთის კანონი“ რადიკალურად შეცვლის მდგომარეობას მთიან სოფლებში. შეწყდება არა მხოლოდ სოფლების დაცარიელება, არამედ დაიწყება უკუმიგრაცია. ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, რადგან მოსახლეობისგან დაცლილია არა მხოლოდ მთის სოფლები, არამედ ბარიც“, – განაცხადა საქართველოს დემოგრაფიული ფონდის დამფუძნებელმა **თამარ ჩიბურდანიძემ.**

მისივე თქმით, აღწერის შედეგებით, საგრძნობლად არის გაზრდილი ემიგრანტების რაოდენობაც. ძირითადად, ქვეყნიდან გაედინება ახალგაზრდობა და შრომისუნარიანი მოქალაქეები.

„მიგრაცია დღეს ყველაზე მასშტაბური დემოგრაფიული პრობლემაა. 2014 წლის აღწერის შედეგებით, საქართველოში კიდევ უფრო დამძიმდა დემოგრაფიული ვითარება, ვიდრე ამას ვარაუდობდა გაერო-ს მოსახლეობის ფონდი 2010 წელს. მათი კვლევების მიხედვით, 2050 წლისთვის მოსახლეობის რაოდენობა 28%-ით მცირდება. თუმცა, ჩვენ უკვე მივიღეთ მოსახლეობის 15%-იანი კლება და თუ რადიკალურად არ შეიცვალა მდგომარეობა, ამ დინამიკით 2050 წლისთვის მოსახლეობის კლება 28%-ს გადააჭარბებს.

სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია დღეს სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც პარლამენტში მუშავდება. ვიმედოვნებთ, საქართველოში ხელისუფლების მიერ 30 წლის შემდეგ, პირველად გაცხადებული დემოგრაფიული პოლიტიკა თავიდან აგვარიდებს მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს“, – განაცხადა ჩიბურდანიძემ.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მწვავე შიდა მიგრაციული ტენდენციაა. იცლება არა მარტო მთის, არამედ ბარის სოფლებიც. მიზეზი მხოლოდ უმუშევრობა არ არის. ხშირად საბაბი ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობაა. მაგალითად, კახეთში ერთი მუნიციპალიტეტიც კი არ არსებობს, სადაც წყლის მიწოდების და ხარისხის პრობლემა იყოს მოგვარებული. ასეა გზებთან დაკავშირებითაც. არადა, სოფლებში ამ პრობლემების მოგვარებისთვის მილიონობით ლარია დახარჯული.

დაცარიელებულ სოფლებთან ერთად, მკვეთრად გაზრდილია ასევე იმ სოფლების რაოდენობაც, სადაც 3-10 კაცამდე ცხოვრობს. ასეთი სოფლები რამდენიმე წელიწადში ნასოფლარების ნუსხას შეუერთდება.

ბექა დანელია

ხეტიტა, ბიძინას მადლი და მუცელატკივებული მიშისტები

ხეტიტა, რომელმაც პარტიზანი ნაცებისა და მებაღეების ალიაქოთი და მუცლისტკივილი გამოიწვია, ამერიკაში დაიბადა. მისი სამშობლოა ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთი და კულტივირებულია დედამიწის ორივე ნახევარსფეროზე. იგივე ლირიოდენდრონი, მაგნოლიასებრთა უძველესი ოჯახისა, რომლის ორი სახეობაა ცნობილი – ლირიოდენდრონი ხეტიტა და ჩინური ლირიოდენდრონი. პირველი კულტივირებულია ევროპასა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, ყირიმსა და შუა აზიის სამხრეთში. როგორც მაღალდეკორატიულ მცენარეს, რომელსაც ძალიან ლამაზი ფოთლები და ყვავილები აქვს, დიდი ხნის წინათ მიაქციეს ყურადღება მის ინტროდუქციას. ასევე მიიქცია რუსი მოაგარაკეებისა და მეცნიერთა ყურადღება. იგი მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ჩაქვსა და სალიბაურში თავიანთ ბაღ-პარკებში გააშენეს. რამდენიმე უნიკარული ეგზემპლარი ახლაც შემონახულია. აჭარის ზღვისპირეთის დაბლობები, ზღვასთან მომიჯნავე გორაკ-ბორცვებით, უნიკალურ გარემოს ქმნიან ხეტიტასა და სხვა უცხოური მცენარეების გასახარებლად.

სააკოვის გახრწნილი რეჟიმის დროს, სხვა ყველაფერთან ერთად, სანერგე მეურნეობებიც გატყიურდა და დაინგრა, მაგრამ ბევრი უნიკალური მცენარე დღემდე შემორჩა.

პეტრას ციხიდან მახინჯაურამდე, უნიკალური ადგილები სააკოვის მზერის ორბიტაში მოექცა. იგი სანდო პირებთან ერთად, დღისით თუ ღამით, კატამარანზე ამხედრებულმა არაერთხელ დაზვერა და ეს რამდენიმე მილიარდს ღირებული მარგალიტი, როგორც 1 ლარად გაყიდული, მგონი ფორმალურად, ყაზახეთზე დაარეგისტრირა ოფშორულ ზონაში. აბა, რა გეგონათ?! იცის ბიჭმა! ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული აღმოჩნდა ციხისძირის ე.წ. სანერგე მეურნეობაც.

რაკი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჩაქვიდან ხეტიტას შეკვეთილის პარკში გადატანა დააანონსა, ნაცებსა და მათ გათახსირებულ ბელადს მუცლები ატკივდათ. სასწრაფოდ შექმნეს ნაცებით დაკომპლექტებული პარტიზანული რაზმი. დაიწყო საპროტესტო აქციები, მარა რა დაიწყო. აქციებთან ერთად ცამ ქუხილი და ცრუსთავის ჟურნალისტებმა აურზაური ატეხეს, ატეხეს, მარა რა ატეხეს?! თურმე ნუ იტყვით და მილიარდერი ბიძინა ქართველებს „ტიტას ხეს“ გვართმევს და საკუთარ ეზოში გადააქვს. სამწუხაროა, რომ მართლაც უნიფხვურმა ჟურნალისტებმა, ამ მცენარის სახელიც არ იციან და „ტიტა ხეს“ ეძახიან, უღმერთოდ ლანძღეს ბატონი ბიძინა.

ლანძღეს, მაგრამ აქ ხეტიტა არაფერ შუაშია. ძაღლის, ანუ სააკოვის თავი სულ სხვაგანაა დამარხული. ბატონი ბიძინა ბრძენი კაცია და იცის როდის როგორ მოიქცეს. ერთი ძირი ხე მხოლოდ საბაბი იყო იმისათვის, რომ ე.წ. გაპარტახებული სანერგე მეურნეობაში მძიმე ტრანსპორტისათვის გზა შეეყვანათ, ხის გადანერგვის სამუშაოები დაეწყოთ და ამ ძვირად ღირებული მარგალიტის „მფლობელი“ დაედგინათ!!!

როგორც იტყვიან, დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო. საქმე კი ქართველი ხალხის სასიკეთოდ დასრულდა – ლარად გაჩუქებული, სინამდვილეში სააკოვის მიტაცებული, შავი ზღვის აჭარის სანაპიროს მარგალიტი ხალხს დაუბრუნდა.

უტყუარი წერილები მაგნოლიების ქალაქიდან

ნაცების ზეობის დროს ბათუმის ბოტანიკური ბაღი კატასტროფის წინაშე იდგა. ბაღში ფეხით გავლაც კი შეუძლებელი იყო. ბატონმა ბიძინამ ახალი სიცოცხლე მიანიჭა. გარდა ამისა, მკვდრეთით აღადგინა ბათუმის დელფინარიუმი, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი. მიშისტების მორიგი დივერსიაა აყალმაყალი თბილისის ბოტანიკური ბაღის გარშემო. რაა ცუდი იმაში, რომ ბაღმა ახალი საკოლექციო ნაკვეთი შემოიმატა ქვა-ღორღიანი ფერდობის სანაცვლოდ?! მაგათ რომ დაუჯეროს კაცმა, მათი ნებართვის გარეშე ბოტანიკურ ბაღსა და ჩაქვის ტყეებში ხიდან ხეზე ჩიტი არ უნდა გადაფრინდეს. როგორც ჩანს, ბატონ მელიას, აბესაძეს და ცრუსთაველებს აღარ ახსოვთ, ნაცების ზეობის დროს რომ განადგურდა აღმოსავლეთის (კახეთი) და დასავლეთის (აჭარა-გურია) ტყეების უნიკალური წაბლისა და წიფლის ათასობით ხე. ამ ძვირფასი მცენარის მორებით დატვირთულ ტრაილერებს მერაბიშვილის სპეციალური კორტეჟები მიაცილებდნენ თურქეთისაკენ. თქვენ მართლა ნაძირლებო, წურბელებივით სისხლს რომ წოვდით ქართველ ხალხს, ახლა ხმას როგორ იღებთ?! „ქართული ოცნების“ დანაშაული ის არის, რომ თქვენ ბურთი არ ჩაგჩარათ პირში და საბრალდებო სკამზე არ დაგსვათ.

ოთარ ცუხიშვილი

რაც შეეხება ხეტიტას, მადლიერებით სავსე, ამაყად დგას შეკვეთილის პარკში და სტუმრებს ელოდება.

ხეს რომ ლაპარაკი შეეძლოს, გულითად მადლობას ეტყვის ბატონ ბიძინას, მაგრამ არის ხალხი, რომელიც თბილ სიტყვას არ დაიშურებს ადამიანისათვის, რომელმაც ხეტიტას ახალი სიცოცხლე და მისამართი მიანიჭა. ეს ისეთი კეთილშობილი და მადლიანი საქმეა, დიდი დიღმის მეოთხე კვარტალის რომელიღაც კორპუსის ერთოთახიანი ბინიდან მოქალაქე რუსთაველის პროსპექტზე სამოთახიან ბინაში რომ გადმოასახლო.

ბატონი ბიძინას ამ მამულიშვილური ღვაწლით გამოწვეული ნაცების მუცლის გვრემა ჯერაც არ ჩამცხრალა. მინდა, ვთხოვო ჯანდაცვის მინისტრ სერგეენკოს, ვასიკო ოდიშვილის აბები გაუგზავნოს, იქნებ მოეხსნათ ტკივილები, თორემ ვიწვი მაგათი საცოდაობთ!

ამბავი ვეფხისა და მოყმისა

2015 წლის 17 ივნისს, შუაგულ თბილისში, დღისით და მზისით, 1972 წელს დაბადებული ოთარ ცუხიშვილი ვეფხვმა დაფლითა, რამაც, ერთი შეხედვით, თითქმის მთელი საქართველო შეძრა. ეს მაშინ იყო, როცა გაცოფებულმა პატარა მდინარე ვერემ წალეკა ყველა და ყველაფერი, რაც კი წინ გადაეღობა, მათ შორის, თბილისის ზოოპარკიც. სწორედ რომ, წარღვნას გადარჩენილი ვეფხვი გადაეყარა მოყმეს. არ ღირს იმაზე საუბარი, თუ რით და როგორ დასრულდა ეს ორთაბრძოლა. აქ სხვა გზა და საშველი არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისა და მოყმის ბალადის შემოქმედი ხალხი ვართ, სტიქიის წინაშე დავმარცხდით. მართალია, ვეფხის დედა არ მოსულა მოყმის დედასთან სამძიმარზე, მაგრამ მსხვერპლი ქართველმა დედებმა დაიტირეს. აქ მინდა, ერთი ალუზია შემოგთავაზოთ ჩვენი უახლესი ისტორიიდან: ერთი კი არა, რამდენიმე მხეცის მიერ ოქროყანის სასაფლაოზე დაფლეთილი სანდრო გირგვლიანის დედამ ირინა ენუქიძემ საპროტესტო აქცია გამართა რუსთაველზე დაკანონებული უსამართლობის გამო. აქციაზე არ გამოვიდა ასამდე დედა. რაღა თქმა უნდა, მკვლელების დედები იქ არ მივიდოდნენ, რადგან უღვთოდ შვილმკვდარ დედებს ვეფხვის დედები უსამძიმრებდნენ და არა – ვირების. სწორედ, რომ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებაში დაკანონებულმა უკანონობამ და საზოგადოების გულგრილობამ გაუყენა ქალბატონი ირინა ძვირფასი შვილის გზას.

მარადიული ნათელი მინდა ვუსურვო დედა-შვილის სულებს.

დავუბრუნდეთ ოთარ ცუხიშვილის ამბავს. მე არ ვიცი, რა უნდა იყოს ამაზე დიდი ტრაგედია?! თითქოს შეძრულიც კი ვიყავით, მაგრამ გავიდა ერთი კვირა და ბარსელონა-სევილიის მატჩის ბილეთებმა მოიცვა მთელი თბილისი და ვეფხვის მიერ უმოწყალოდ დაგლეჯილი ოთარ ცუხიშვილი აღარავის ახსოვდა. თითქოს ამ უცხო ქვეყნის ორი გუნდის თამაში იყო სულიერი საზრდო და გადარჩენის წყარო. კომენტარებიც კი არ შეიძლება იმ სამარცხვინო ფაქტზე, როცა ბორის პაიჭაძისა და მიხეილ მესხის სამშობლოში მაყურებელი შევარდება მწვანე მინდორზე და უცხო ქვეყნის ფეხბურთელს ფეხებს უკოცნის. კიდევ უფრო შემაზრზენი სანახაობა იყო, როცა ეს სამარცხვინო ანომალია ქართულმა ტელეარხებმა განაზოგადეს, როგორც ქართველი კაცის ღირსების გამომხატველი მაგალითი.

კიდევ ერთი ალუზია უახლესი ისტორიიდან: თბილისში ჩამოვიდა თურქული სერიალის ერთ-ერთი როლის შემსრულებელი მსახიობი სავაში. კევიღეჭია და უპერანგო (კინაღამ „უნიფხური“ ვთქვი) ჟურნალისტები პირდაპირ მუხლებში უცვივდებოდნენ. სამწუხაროა, რომ ეს ხდება აკაკი ხორავას სამშობლოში, რომლის ტოლი მსახიობი დედამიწის ზურგზე ჯერაც არ დაბადებულა.

XX საუკუნეში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ XXI საუკუნის I მეოთხედში ჩვენი დედაქალაქის შუაგულში ადამიანს ვეფხვი დაფლეთდა. მე კი , საწყალი, როგორ გავიფიქრებდი, გორში სტალინის ძეგლს აიღებდნენ და თბილისში ალიევისა და რეიგანის ძეგლებს დაგვიდგამდნენ, უცხო ქვეყნის ემისრები ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენას მოთხოვდნენ, ბათუმის დრამატული თეატრის წინ ილია ჭავჭავაძის ძეგლს აიღებდნენ და თეატრის უკან მიჩქმალავდნენ. ნამდვილად წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, რომ ჩემი კოლეგები ხელს მოაწერდნენ ბრძენკაცის ძეგლის დემონტაჟს.

სურათი ნათელია: ვეფხვის მიერ დაფლეთილი მოყმის დედასთან სამძიმარზე არამც თუ ვეფხვის დედა, ძალიან ბევრი თბილისელი დედა არ მისულა. არცერთ დედას არ უთქვამს „ერთი შვილ მაინც გავზარდე, ვეფხვებთან მეომარია.“

ზოთა ზოიძე,
ბათუმი, 2016.



...მიცვალებულმა ცოცხალი ბეჭებზე გააკრა!

წარსულისთვის ანგარიშის გასწორებას დღესაც ბევრი ძველებურად ცდილობს

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მგზნებარედ განიხილავენ სკკპ XX ყრილობის თემას, „პიროვნების კულტის შესახებ“ ნ. ხრუშჩოვის მოხსენების 60 წლისთავს. ტელევიზიაში ისეთი მგზნებარებაა, რომ ზოგჯერ მხოლოდ ცალკეული ფრაზები ან სიტყვებიც კი შეიძლება გაიგო, ვიღაცამ კი, თითქოს განგებო, მოიფიქრა თან დაურთოს ამ შაბაშს ტაში, რომლის იქითაც უკვე აღარაფრის გაგება არ შეიძლება.

უმალვე უნდა ითქვას, რომ ეს მოხსენება ნამდვილი დივერსიაა, რომელიც მოეწყო ტერორის ამ სახეობის მთელი წესის დაცვით. იგი მზადდებოდა საიდუმლოდ, ყრილობის დღის წესრიგში არ ყოფილა, ის ხრუშჩოვმა თავს დაატეხა ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის დელეგატებს არჩევნების შემდეგ დახურულ სხდომაზე, და არანაირი განხილვა არ ყოფილა გათვალისწინებული და არც ყოფილა განხილული. ასე რომ, მაგალითად, მარშალ ვასილევსკის, რომელიც ხრუშჩოვმა ახსენა, რომ მოენდომებინა ეპასუხა მისთვის, სიტყვას არ მისცემდნენ. მარშალს მოუწია ლოდინი თავისი მოგონებების გამოსვლამდე, სადაც მან სტალინს მაღალი შეფასება მისცა. და ეს იყო მისი პასუხი მოლაყბე-მესიმინდიისათვის.

ტელედისკუსიის მონაწილეთა შორის ჩემი ყურადღება არ შეიძლებოდა არ მიეპყრო სამ კაცს: ა. ციპკოს-ფილოსოფოსს! ი. კუბლანოვსკის — პოეტს! და ვალერია კასამარას — ქალს!... როგორ მწარედ და ტკივილით თქვა მან იმის შესახებ, რომ დღემდე მოსახლეობის 40 პროცენტი მოწონებით უყურებს სტალინს... რა დაემართებოდა მას, რომ გაეგო — ბოლო გამოკითხვით არა 40 პროცენტი, არამედ ნახევარზე მეტი? და ეს 60 წლის შემდეგ დიდი მოხსენებიდან! ვოლკოგონოვისა და აქსიონოვის, ჟირინოვსკისა და რაძიხოვსკის, რაძინსკისა და იავლინსკის, ფედოტოვის, სვანიძის, კარაგანოვის, თავად კასამარას სისიფეს თავდავიწყებული შრომის შემდეგ... სტალინოფობიური ლიტერატურის კოსმოსური საბჭოთა ტირაჟების მრავალი ტომის, ათობით კინოფილმის შემდეგ, რომლებშიც ხაზანოვი, იურსკი, კვაშა, ვისაც ეს, ეტყობა, ეროვნული ღირსების საქმედ მიაჩნდათ, წარმოსახავდნენ სტალინს, როგორც თავიანთ მსგავსს... 60 წელი — ეს კასამარას თითქმის ორი სიცოცხლეა...

მაგრამ აი ფილოსოფოსი ციპკო. ის ლაპარაკობდა ყველაზე მეტს, ხმამაღლა შეტევით. რის შესახებ? რასაკვირველია, შიშზე, რომელიც ხრუშჩოვამდე — „იჯდა ყველა მათგანში შიგნით“, მაგრამ ხრუშჩოვმა მოახდინა რუსი ადამიანის რეაბილიტირება“. სინამდვილეში შიში მხოლოდ ანტისოვეტჩიკების, გამფლანგველებისა და ქურდბაცაცების ღვიძლებსა და სულებში იჯდა, რაც სავსებით გასაგებია. რისთვის სჭირდებოდათ მათ სიმამაცე და სიმხიარულე? მე პირადად არც ჩემს სანათესაოში, არც მრავალრიცხოვან ნაცნობებს შორის ვერანაირ შიშს ვერ ვხედავდი მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში.

მთელი ჩემი საკმაოდ აქტიური ცხოვრების მანძილზე მე ვიცნობდი მხოლოდ ერთ ადამიანს, რომელიც დააპატიმრეს. ეს იყო ჩემი მეგობრის ჟენია მაზიუტინის მამა, გვერდით სადარბაზოში რომ ცხოვრობდა. თუმცა, კიდევ დააპატიმრეს ჩემი მშობლიური ბაბუა ფეოდორ გრიგორის ძე ბუშინი, მაგრამ მამაჩემი, ბაბუაჩემის შვილი უმალვე წავიდა ტოვარკოვოში, ტულის ოლქში, სადაც ბაბუაჩემი იჯდა და მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ჩინი არ ჰქონდა (იყო მხოლოდ პატარა საავადმყოფოს მთავარი ექიმი, აგრეთვე ახალგაზრდობაში მეფის ოფიცერი), როგორღაც გაათავისუფლა მამა. ამის შემდეგ ის აირჩიეს ტულის ოლქის კურკინის რაიონის მარატის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ასე რომ, არც ერთ ჩვენგანს ხრუშჩოვის რეაბილიტაცია არ სჭირდებოდა, ეს თქვენთვის დაიტოვეთ, ფილოსოფოსო.

სულ სხვა საქმეა შიში ახლა. როგორ შეიძლება უიმისოდ ცხოვრება, თუ, გენერალური პროკურატურის მონაცემებით, რუსეთს მკვლელობათა რიცხვით 100 ათას მოსახლეობაზე მსოფლიოში უკავია მესამე ადგილი მექსიკისა და ბრაზილიის შემდეგ? ეს წელიწადში 14,5 ათასი მსხვერპლია („სოვეტსკაია როსია“, 2016 წლის 19 თებერვალი), რაც უფრო მეტია, ვიდრე დაღუპულები ავღანეთში 10 წლის ომის განმავლობაში. მაგრამ აი შიშის მეორე სახე, 16 თებერვალს ტელევიზიამ გვაცნობა, რომ ნიჟეგოროდსკის რაიონის ქალაქ სერგაჩში იყო შაქრის ქარხანა, მასში 2 ათასი მუშა მუშაობდა, ახლა — მხოლოდ — 500, მათ გამოუცხადეს, რომ ქარხანა იხურება, როგორ არ უნდა ეშინოდეს ამ ხალხს ხვალინდელი დღისა?! დამამახსოვრდა ეს ფაქტი მხოლოდ იმიტომ, რომ სერგასიდან იყო ჩემი ამხანაგი სემიონ შურტაკოვი, ვისთან ერთადაც ვსწავლობდი ლიტერატურის ინსტიტუტში. ჩვენ კი ხომ ასეთი „სერგაჩელების“ შესახებ ყოველდღე გვესმის. შეგახსენებთ, თუნდაც კიდევ ერთზე: ლენინგრადში სახელგანთქმულ კიროვის ქარხანაში 75 ათასი კაცი მუშაობდა, ახლა — 3 (სამი) ათასია. როგორ გრძნობენ თავს დანარჩენები?

შთაბეჭდილებას ახდენს ა. ციპკოს შეუპოვარი და შემტევი ნატურა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ კიდევ სტუდენტი, მაგრამ უკვე სკკპ წევრი, მშვიდად იმყოფებოდა 30 წელი. ჯერ ისევ სტუდენტი, მაგრამ უკვე მუშაობს „კომსომოლსკაია პრავდაში“, მალე ის უკვე კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტშია, ჯერ კიდევ სტუდენტი.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შემდეგ საით მიძვრებოდნენ ამ ტიპის ადამიანები? რასაკვირველია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისკენ. და ციპკო, რასაკვირველია, აღმოჩნდა იქ სოციალური ქვეყნების განყოფილების კონსულტანტის თანამდებობაზე ფ. ბურლაცკის, ა. შოვინის, გ. არბატოვის და სულიერების სხვა ტიტანების ერთ თბილ კომპანიაში. ისინი იქ უწერდნენ მოხსენებებს ოთხგზის გმირ ხრუშჩოვს, ხუთგზის გმირ ბრეჟნევს, სამგზის გმირ ჩერნენკოს და გმირ ანდროპოვს. შეეძლოთ ამ ინტელექტუალ „სუბიექტებს“ ყოფილიყვნენ სტალინის მრჩევლები ან კონსულტანტები? 1939 წელს მან 60 წლისთავთან დაკავშირებით მიიღო სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი, ხოლო საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი 1945 წელს არ მიიღო: „თქვა, რომ ვერ შეესაბამება საბჭოთა კავშირის გმირის სტატუსს. ამ წოდებას ანიჭებენ პირადი მამაცობისათვის. მე კი, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას არ ვღებულობდი, გმირობა არ ჩამიდენია, მე უბრალოდ ხელმძღვანელი ვარო“ (ციტატა გროვერ ფერიდან. ანტისტალინური სასაძაგლე. მ.2007 გვ.274). აქ არის შესაძლებლობა არ დავეთანხმოთ სტალინს. ბევრ სხვა რამეზე რომ არ ვილაპარაკოთ, მაგრამ 41 წლის ოქტომბერში არ დაეტოვებინა მოსკოვი — ეს გმირობაა, მოეწყო 7 ნოემბერს წითელ მოედანზე სამხედრო პარადი და წარმოეთქვა მასზე სიტყვა — ეს პირადი მამაცობაა.

„ხრუშჩოვის დროს, — ამბობს ა. ციპკო, — ხალხმა ცხოვრება დაიწყო, მან გააკეთა ყველაფერი ცხოვრების გაადამიანურებისათვის...“ მოუყვებოდა კი იგი ხრუშჩოვის მიერ 1962 წელს ნოვოჩერკასკში დახვრეტილი მუშების შვილებსა და შვილიშვილებს ცხოვრების გაადამიანურების შესახებ?... ფილოსოფოსი იქამდეც კი მივიდა, რომ იფიცებოდა: უხრუშჩოვოდ ჩვენ არ გვექნებოდა დიდი რუსული კულტურა, დიდი რუსული ლიტერატურა და დაასახელა რამდენიმე სახელი: იური ტრიფონოვი, სერგეი ზალიგინი, მიხეილ ალექსეევი, ვასილი ბელოვი...

ყველა მათგანს მე კარგად ვიცნობდი და ყველა მათგანზე ვწერდი კიდეც. მაგრამ, ჯერ ერთი, ზოგიერთი მათგანის უეჭველი ნიჭის დადასტურებით, რუსული ლიტერატურის სიყვარულის გათვალისწინებით, შეუძლებლად მიმაჩნია, უწოდო რომელიმე მათგანს დიდი. აი ზალიგინი კი, რომელიც „არქიპელაგ გულაგის“ გამოქვეყნების შემდეგ „ნოვი მირში“, რომელსაც ის ედგა სათავეში და ამერიკაში აკადემიკოსად გამოაცხადეს, უბრალოდ სუსტი მწერალია, მისი წაკითხვა შეუძლებელია, დაე, თუნდაც რომ ოდესღაც მის მოთხრობაზე „ირტიშზე“ მე „ლიტერატურნაია როსიაში“ დადებითი რეცენზია გამოვაქვეყნე.

მეორეც, ყველა დასახელებულმა მწერალმა წერა დაიწყო და გახდა მწერალი „ხრუშჩოვის ისტორიულ ათწლეულამდე“ დიდი ხნით ადრე, როგორც იგი მას უწოდებს. ტრიფონოვის მოთხრობა „სტუდენტები“, რომელშიც ის, როგორც ლექსიკონ „XX საუკუნის რუს მწერლებშია“ ასახული, „ააშკარავებს ლიტერატურული ინსტიტუტის პროფესურის კოსმოპოლიტიზმს და მის პირმოთნეობას დასავლეთის წინაშე“, დაიბეჭდა „ნოვი მირში“ 1950 წელს, სტალინის დროს, და იქვე მიიღო სტალინური პრემია, თუმცა მესამე ხარისხისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მე მაშინ მის შესახებაც დავბეჭდე „მოსკოვსკი კომსომოლეცში“ დადებითი რეცენზია. ჩემმა უფროსმა ამხანაგმა ალექსეევმა დაიწყო კიდევ უფრო ადრე, მისი რომანი „ჯარისკაცები“ — ესაა 1947 წელი. თავისი საუკეთესო ქმნილებები მიხაილ ნიკოლაევიჩმა დაწერა უკვე ქაჯის განდევნის შემდეგ — „კარიუხა“ (1967), „ივუშკა“ (1974), რომელმაც სახელმწიფო პრემია მიიღო, „ჩხუბისთავები“ (1981), „ჩემი სტალინგრადი“ (1993)... და ხრუშჩოვს ამასთან დაკავშირებით აქვს კიდევ უფრო ნაკლები და მოკიდებულება, ვიდრე ნიკოლოზ პირველს პუშკინის „პოლტავასთან“, ნიკოლოზ მეორეს გორკის „ქარიშხალას შესახებ სიმღერასთან“ დაკავშირებით.

ხრუშჩოვის დროს ლიტერატურის აყვავების შესახებ ლაპარაკობდა იური კუბლანოვსკიც, სოლჟენიცინის პრემიის: „დიდი მწერალი სოლჟენიცინი“ ლაურეატი...

ხრუშჩოვმა დაშალა გულაგი! — ამტკიცებს ი. კუბლანოვსკი.

ესე იგი როგორ ყველა პატიმარი გაუშვა სახლებში? ადამიანი ხმარობს სიტყვებს, რომელთა აზრიც მას არ გაეგება.

— გულაგი მხოლოდ სტალინის დროს შეიძლებოდა ყოფილიყო!...

გულაგი, უფალო ხელმწიფეო, — ესაა ბანაკების მთავარი სამმართველო. იგი როგორც იყო, ისე დარჩა, შეიძლება სხვა სახელწოდებით, დავუშვათ, ცულაგი — ცენტრალური სამმართველო. მეტი არაფერი, ვინაიდან დამნაშავეები არ გადაშენებულან, სავსებით პირიქითაც კი, იქ ახლა არიან უფრო მეტი, ვიდრე 1937 წელს იყო. და როგორ გავძლოთ უბანაკებოდ და მათი მმართველობის ორგანოების გარეშე?... დიახ, არ ესმის. სოლჟენიცინი ხომ აქებს მას სიტყვების სიზუსტისათვის. სხვათა შორის, ეს „დიდი“ მეც მაქებდა. არა ღირსსახსოვარ 1964 წლის 2 იანვარს რიაზანიდან მწერდა მის შესახებ სტატიასთან დაკავშირებით: „აქო ის კრიტიკოსი, რომელიც შენ გაქებს — ეს რაღაც კრილოვისებურად გამოდის. მიუხედავად ამისა, მინდა ვთქვა, რომ თქვენი ეს სტატია მეტად ღრმად და სერიოზულად მეჩვენება — სწორედ იმ დონეზეა იგი დაწერილი, რომელზეც აქვს მხოლოდ აზრი კრიტიკულ ლიტერატურას... სამწუხაროა, რომ ჟურნალის ტირაჟის გამო (ვორონეჟის „პოდიომი“) მას ცოტა ვინმე თუ წაიკითხავს“. აი ასე! პრემია კი არ მომცა წუწურაქმა. მხოლოდ თავის ანტისოვეტჩიკებს მისცა.

ანა ახმატოვამ 1956 წელს, როდესაც ათავისუფლებდნენ უდანაშაულო პატიმრებს, თქვა: ახლა ერთი რუსეთი ჩახედავს თვალებში მეორე რუსეთს...

ახმატოვა შესანიშნავი პოეტია, მაგრამ მასთან სიტყვა ყოველთვის როდი შეესაბამება ცხოვრებას. ის არ იყო ზუსტი მა-

შინაც კი, როდესაც პატრიოტული მგზნებარების დროს წამოიძახა:

შეგინარჩუნებთ, მეტყველებავ რუსულო ჩვენო,

შენც, დიდებულო სიტყვავ რუსულო.

ომი მიმდინარეობდა არა ენისთვის, გერმანელები არ დევნიდნენ რუსულ მეტყველებას, დაპყრობილ ტერიტორიებზე ისინი გამოსცემდნენ გაზეთებს რუსულ ენაზე, საქმე გაცილებით სერიოზული იყო, და ამის შესახებ ზუსტად თქვა ტვარდოვსკიმ:

და ბრძოლა მიდის არა იმისთვის – მოიპოვონ დიდება თვისი,

მხოლოდ სიცოცხლის გულისათვის დედამიწაზე.

სწორედ სიცოცხლისთვის, მათ შორის ენისათვისც, და სწორედ დედამიწაზე – არა მხოლოდ ჩვენთვის.

და ამ შემთხვევაში სიცოცხლე ხატავს ლიბერალების საყვარელ სურათს: რუსეთის ნახევარი აპატიმრებდა – ნახევარი იჯდა. და აქ გამახსენდა მეორე სახელგანთქმული ქალბატონი – მაია პლისეცკაია. ტელევიზიით მიდიოდა მისი საუბარი ჟურნალისტთან. და მან, თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, თქვა: ყველა დასმენას წერდა! „ნუთუ ყველა?“ – გაუკვირდა მოსაუბრეს. „ყველა!“ – „და თქვენც როდიონ შჩედრინთან ერთად?“ – „ჩვენ აქ რა შუაშია ვართ?!“ – მრისხანედ წამოიყვირა სუპერვარსკვლავმა, წამოდგა და წავიდა.

ხრუშჩოვის თვითმკვლელი მოხსენებისა და „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ მთელი ბრძოლის არსი კარგად გამოხატა ორმა სრულიად განსხვავებულმა ადამიანმა – დიდმა საბჭოთა მწერალმა მიხეილ შოლოხოვმა და დიდმა ანტისაბჭოთა პიროვნებამ ჩერჩილმა. პირველმა თქვა: „იყო კულტი, იყო პიროვნებაც“. მეორემ, რომელსაც ასევე შეეძლო ეთქვა დალაგებულად, დაასკვნა: „ეს არის სიცოცხლის ბრძოლა მიცვალებულთან, რის შედეგადაც მიცვალებულმა ცოცხალი ბეჭებს გაიკრა“.

მაგრამ, რასაკვირველია, საქმე მხოლოდ ხრუშჩოვის პირადი ბედისწერა როდია, არამედ უმთავრესად მისი მოხსენების შედეგებია. ეს იყო მთელი კომუნისტური ბანაკის ღალატი. ბევრ ქვეყანაში ხომ იყო დიდი და ძლიერი კომუნისტური პარტიები – ჩინეთში, კორეაში, ვიეტნამში, საფრანგეთში, იტალიაში... და ზოგიერთ ქვეყანაში ისინი იყვნენ ხელისუფლებაში. მაო ძედუნი, მორის ტორეზი, პალმირო ტოლიატი, კიმ ირ სენი, ხოშიმინი, დოლორეს იბარერი... ამ სახელებს იცნობდა მთელი მსოფლიო. ჩვენი კომუნისტური პარტია, განსაკუთრებით დიდ სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით მთელ მსოფლიოში.

ნებისმიერ პოსტზე, თუნდაც მილიციის განყოფილებაში, მხოლოდ მოლაყბე დაუწყებს ლანძღვას თავის წინამორბედს. როგორც ცნობილია, ლენინის უკანასკნელ წლებში მას სტალინთან სირთულეები, პოლიტიკური და პირადი სირთულეები წარმოექმნა, სსრ კავშირის სახელმწიფო მოწყობიდან დაწყებული (ავტონომიზაცია თუ ფედერალიზაცია) სტალინის კრუპსკაიასთან ტელეფონით უხეშ, შეიძლება, შეურაცხმყოფელ ფაქტამდე, რისთვისაც ლენინი, ურთიერთობათა გაწყვეტის დამუქრებით, ითხოვდა ბოდიშის მოხდას. კარგი იქნებოდა სტალინს, როგორც პოლიტიკოსს, ლენინის გარდაცვალების შემდეგ მისთვის ანგარიში რომ გაესწორებინა! პირიქით, მრავალგზის იმეორებდა, რომ ის ლენინის მხოლოდ მოწაფეა. სტალინმა ლენინის დიდი ავტორიტეტი გამოიყენა თავისივ ავტორიტეტისა და პარტიის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, რასაკვირველია, ის ამას აკეთებდა გულწრფელად, პატიოსნად, რწმენით.

სტალინმა შექმნა უზარმაზარი ავტორიტეტი – თავისი საკუთარიც, პარტიისაც და ნახევრად გაუნათლებელმა ხრუშჩოვმა ეს ყოველივე ქარს გაატანა. შედეგი იყო სისხლი – ჯერ საქართველოში, სადაც ზალპებით შლიდნენ მიტინგებს, შემდეგ უნგრეთში, შემდეგ დამანსკის კუნძულზე ჩინელ მესაზღვრეებთან ბრძოლაში. და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. გაგრძელებას ჩვენ ახლა ვხედავთ.

ვლადიმერ გუშინი

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

რეკვიემი დედა-შვილისთვის

ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

სპექტაკლი თავიდან ბოლომდე დიალოგებზეა აგებული, მაყურებლისათვის ასერიგად მოწყურებულ, მონატრებულ დიალოგებზე.

სცენაზე ორად ორი მოქმედი პირი დგას.

სცენა პირობითად უფრო ითქმის – ერთი დიდი ლოჯი უფროა, ფანჯრებჩარიგებული, გადაწეული ფარდებიდან თბილისური პეიზაჟი რომ მოჩანს.

ასეთია მიხეილ თუმანიშვილის თეატრის მცირე სცენა.

ამჯერად „დაგვიანებული ჩაი“ თამაშდება, სელმა დიმიტრიევიჩის – ბრიტანეთში მოღვაწე სერბი დრამატურგისა და რეჟისორის – პიესის გადმოკეთებული ვერსია. დედანში პიესა ასეა დასათაურებული: „ღმერთები დაეცნენ, ვიღა დაგვიცავს“, ფრაზა ჯონ სტაინბეკის რომანიდან „სამოთხის აღმოსავლეთი“, და საერთოდაც პიესის განწყობილება სტაინბეკურია.

„დაგვიანებული ჩაი“

რეჟისორსვე მოუკიდია ხელი პიესის მოსარგებად ქართული სინამდვილისათვის და ბუნებრივადაც შეუნაცვლებია უცხოური დრამა მშობლიური იერით, ირაკლი გურგენიძეს, დადგმისას მეტად ძუნწი შტრიხები რომ უკმარია, მაგრამ ყველა დეტალი მეტყველია, ჩინებულ ფონს რომ უქმნის მსახიობებს, ზუსტად შერჩეულ მელოდიებთან ერთად.

ნუ გამოგვრჩება მხატვრის შოთა გლურჯიძის სცენოგრაფიული წვლილიც და მუსიკალური გამფორმებლის, ანი მურღულიას, გემოვნებიანი არჩევანიც.

ნინო ბურდული და ანა ნიკოლაშვილი განასახიერებენ დედასა და შვილს, თითქოსდა ჩვეულებრივ ყოფით სურათებში, ოთხ ეპიზოდად გათამაშებულში, თანდათან რომ უნდა შემოიჭრას მძაფრი დრამატიზმი, რასაც ამკვეთრებს მისტიკური პლანი, პირველი ეპიზოდის ფინალში რომ უკვე უნდა იელვოს, როდესაც დედა და ანა ლამის გვერდი-გვერდ დგანან, მაგრამ შვილს არ ესმის დედის ძახილი.

და ეს იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა განზომილებაში იმყოფებიან.

და გრძნობ, რომ კედელზე ჩამოკიდებული დედის ფერწერული პორტრეტი თურმე გარდაცვლილის სურათი ყოფილა.

ამ განცდას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის მეორე მოქმედებაში თავისებური ვარიაციით გამეორებული პირველი ეპიზოდი, ოდნავი, ოღონდ საგულისხმო ცვლილებებით.

თურმე:

ის ეპიზოდი ერთი პერსონაჟის თვალით ყოფილა აღქმული.

ეს ეპიზოდი – მეორე პერსონაჟის.

მესამე ეპიზოდში დრამატურგის ხედვა უნდა შემოვიდეს.

და მეოთხე უკვე შვილის საუბარია... დედის აჩრდილთან.

მისტიკური ხაზი აქ უნდა დაგვირგვინდეს, და დაგვირგვინდეს ღრმა განცდითა და აზრით, და იმ სიფაქიზითა და დახვეწილობით, ურომლისოდაც განცდაც და აზრიც ერთბაშად გაფერმკრთალდებოდა, ანდა გაუხეშდებოდა და მძაფრი ვნებები გადაიქცეოდა ხელოვნურ სამშვენისად, ახლა ასერიგად რომ გხიბლავს მარჯვე რეჟისორული გადაწყვეტისა და მსახიობთა ოსტატობის წყალობით, მთავარი მაინც სიტყვა რომ არის მთელს სპექტაკლში, შევიწროებული სიტყვა, ლამის განსადევნადაც განწირული ქართული სცენიდან.

და გიხარია, ისე გიხარია, როდესაც სიტყვას თავის მნიშვნელობას უნარჩუნებენ, ანიჭებენ იმ ძალას, რისთვისაც მოწოდებულა სიტყვა, და სცენაც რისთვისაც მოწოდებულა, ამბიონისაგან რომ არც განერჩეოდათ ილია ჭავჭავაძესა და მის თანადასელებს.

სპექტაკლი სიტყვაა უპირველესად.

მერე უკვე სანახაობაც – აბა უამისოდ?..

სანახაობაში – რამდენიც გენებოს – ჩართე გარეგნული ეფექტებიც, სიმღერაც, ცეკვაც, პანტომიმასაც ნუ დაივიწყებ, მაგრამ სიტყვის ხარჯზე არაფრისდიდებით – მისი გაუფასურების ხარჯზე, დაკარგვისაგან რომ არც განირჩევა.

ამჯერად ირაკლი გურგენიძეს არც დასჭირვებია არავითარი გარეგნული ეფექტი სპექტაკლის გასახალისებლად, ის გახალისება უთუოდ რომ შებღალავდა მისტიკურ ფონს და მაყურებელს დაეცილებდა იმ ღრმა შინაარსს, ბანალურად ასეც რომ გამოითქმის:

რა წვრილმანი ხდება ყოფითობა საიქიოს გადმოსახედიდან, ყოფითობა, რომელსაც არ ახლავს რომანტიკული ხიბლი. ეს ხიბლი კი გეკარგება ამქვეყნიურ საზრუნავში ჩაფლულს, გაღიზიანება და სიბრაზე რომ გიპყრობს უმნიშვნელო ამბების გამოც, მაშინ, როდესაც ყოფითობის მიღმა იმალება უკიდურესი განცდები. ანარეკლადღა რომ შეგრჩება ხელთ და მხოლოდ ორი ქვეყნის საზღვრად მდგარი გააცნობიერებ მის სიღრმეს.

ჩაის დაგვიანების წამი საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს დედისათვის?

თან ჰო და თან არა.

მთავარი ეს აღარაა.

მთავარია, რა ოსტატურად შეიძლება გადმოვიდეს გაშეშებული დრო სცენაზე და ოთხ ეპიზოდად განიტოტოს.

გაშეშებულ დროს კი სხვა რა აამეტყველებდა, თუ არა ძალა იმ სიტყვისა, ასე მოხდენილად რომ მოედინება ნინო ბურდულისა და ანა ნიკოლაშვილის ბაგეთაგან და წუთისოფლის ამაოების მიღმა რომანტიკისა და სილამაზის ძიების აუცილებლობას შეგვახსენებს, და კიდევ ერთხელ რომ გვიდასტურებს დიალოგის ხელოვნებას.

„დაგვიანებული ჩაი“ ის წარმატებული დადგმაა, გარდა თავისთავადი მნიშვნელობისა, ასეთივე ყაიდის სპექტაკლებს სხვათაც რომ მოიყოლებს, რადგან არ დაილევა მოხდენილი დიალოგები და სიტყვით მოტანილი მძაფრი დრამატული ვნებები პიესებში, ნამდვილად რომ არ მოვისაკლისებთ, თუკი რეჟისორებს არ ეგონებათ, რომ ქართული თეატრი ორი-სამი დრამატურგის, ისიც გარდაცვლილის, ანაბარა და იმედადაა.

არადა:

კიდევ ბევრი რამ ხდება დრამატურგიაში, ქართულშიც და უცხოურშიც, რაც ჩვენს რეჟისორებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ.

თუმც საამისოდაც მოვიცლით, რეჟისორებს რომ თვალწინ გადავუშალოთ დრამატურგიის მრავალფეროვნება, ქართულისა თუ უცხოურის, ჯერჯერობით კი გულდაწყვეტილნი თუ მივაჩერდებით გაცვეთილ სპექტაკლებსა და მარტონ სანახაოებად გადაქცეულ დადგმებს, ვიდრე დროდადრო იელვებდეს – ჩვენდა ნუგეშად – ასეთი სპექტაკლები, „დაგვიანებული ჩაი“ რომ წარმოგვიდგება, თავიდან ბოლომდე დიალოგებზე აგებული – მოწყურებულზე, მონატრებულზე...

დაგვიანებული ჩაი?

არა, უფრო დაგვიანებული სიყვარული...

და სიტყვის ფოიერვერკი.

საფიქრალსაც ამიტომ გვიტოვებს დიდ ტკივილთან ერთად. და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სპექტაკლი იქ არ უნდა რჩებოდეს, სცენაზევე, როგორც წამიერი გართობის დასტური.

ხომ ვნახეთ, რაოდენ დატვირთული შეიძლება იყოს ყოველი წამი, თუკი მის მეტაფორულ შინაარსს ჩავწვდებით – სიტყვით, სიტყვით, სიტყვით მოტანილს!..

როსტომ ჩხეიძე.

საგაზაფხულო გამწვანება ჩუღურეთში

გამწვანების აქციაში მონაწილეობა ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ, გამგეობის თანამშრომლებმა და მოსახლეობამ მიიღო.

„გასამწვანებლად ადგილები მოსახლეობასთან ერთად შეირჩა. კუმისის ქუჩაზე, ამ ადგილას ადრე ნაგავსაყრელი იყო, მოვაწყვეთ ახალი სკვერი, რომელიც დღეს წიწვოვანი ნერგებით გავამწვანეთ. აქციის ფარგლებში ნერგები სხვადასხვა ქუჩაზე დაირგვება“, – განაცხადა ზურაბ ჩიკვილაძემ.

გამწვანების აქციის ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონში 200 წიწვოვანი ნერგი დაირგო.

ძველი ვეძისი გამწვანდება

სოფელ ძველ ვეძისში 600 ძირი ნერგი დაირგო – 200 კედარი, 200 ჰორიზონტალური და ამდენივე ვერტიკალური კვიპაროსი თბილისთან შემოერთებული სოფლის მცხოვრებლებს თბილისის გამწვანებისა და ეკოლოგიის საქალაქო სამსახურმა მიაწოდა. გამწვანების აქციაში მონაწილეობა საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ ადგილობრივებთან ერთად მიიღო. ნერგების ნაწილი სოფელში შემავალ გზაზე დაირგო, ნაწილი კი სხვადასხვა უბნებში გადანაწილდა.

საბურთალოს რაიონის გამგებელმა ადგილობრივებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა და მადლობა გადაუხადა იმ აქტიურობისათვის, რასაც ისინი მათი სოფლის განვითარებისათვის იჩენენ.

თბილისში ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა აშენდება

ძალაძ თბილისის მერიას, შპს „თბილსერვის ჯგუფსა“ და შპს „კა დე ვე ჯორჯიას“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმებას ხელი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა ლევან ჯღარკავამ და შპს „კა დე ვე ჯორჯიას“ დირექტორმა ვაჟა სამადბეგიშვილმა მოაწერეს.

მერიის ინფორმაციით, მემორანდუმის თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ ინდუსტრიულ სფეროში — ერთობლივი ძალისხმევითა და მხარდაჭერით თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისა და მართვის მიზნით.

„ინტერესთა გამოხატვის წესების შესაბამისად, კომპანიასთან გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც შპს „კა დე ვე ჯორჯი“ იღებს ვალდებულებას, რომ გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეათანხმოს დოკუმენტაცია და წარმოადგინოს ამის საფუძველზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, რაც მნიშვნელოვანია ნარჩენების გადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობისთვის, ისევე როგორც, საბანკო გარანტია უნდა იქნეს წარმოდგენილი დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, რათა ამის შემდგომ უკვე კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე გადავიდეთ, ამიტომაც დადგენილი წესის მიხედვით მივყვებით ყველა პროცედურას ნაბიჯ-ნაბიჯ, რათა, სწორედ, წესების მიხედვით მოხდეს კომპანიასთან შეთანხმების გაფორმება“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

„ქართული ჩაი“ წალენჯიხაში

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორ ლევან შონიასთან ერთად, წალენჯიხაში ადგილობრივ ფერმერებს ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა გააცნო.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების უმთავრეს მიზანს საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და ჩაის წარმოების ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის ჩაის, მათ შორის, ბიოჩაის წარმოების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გავეულურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია განხორციელდება და ჩაის პირველადი გადამმუშავებელი თანამედროვე საწარმოები შეიქმნება. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთია რეგიონში, სადაც ყველაზე კარგადაა შენარჩუნებული როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციები.

როგორც ოთარ დანელიამ ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრაზე განაცხადა, აღნიშნული სახელმწიფო პროგრამა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული ჩაის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ასევე მოსახლეობის დასაქმებას და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები დამატებით უსასყიდლოდ მიიღებენ ჩაის პირველადი დამუშვებისთვის საწარმოო მანქანა-დანადგარებს, მოწყობილობებსა და ინვენტარს. პროგრამის ბენეფიციარებისათვის განხორციელდება ტექნიკური დახმარება, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას ჩაის სწორად დამუშავების ტექნოლოგიებში, მარკეტინგში, რეალიზაციის არხების შექმნაში.

ქართული ღვინის კულტურის პრეზენტაცია პარიზში

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის ოფისში, პარიზში, ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის პრეზენტაცია, საფრანგეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საფრანგეთის აგრარული პალატის, პროფესიონალი სომელიეების, ენოლოგების, ღვინის ჟურნალისტებისა და ბლოგერების, UNESCO-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტო და საქართველოს საელჩო საფრანგეთში.

უწყების ინფორმაციით, გამოფენის მიზანი იყო ქართული ღვინის წარდგენა პროფესიონალებისა და ფართო საზოგადოების წინაშე. ქართული ღვინის დეგუსტაციის პარალელურად, OIV-ში ასევე გაიმართა გამოფენა ქართული ვაზისა და ღვინის ისტორიისა და კულტურის შესახებ — „მე-19 საუკუნის ფრანგულ ფოტოებში ასახული ქართული ღვინის კულტურა“, სადაც წარმოდგენილი იყო საფრანგეთის მუზეუმში დაცული ფრანგი ეთნოგრაფების ჟოზეფ დე ბაისა და ჰუგო კრაფტის მიერ 1897-1903 წლებში გადაღებული ფოტოები. ფოტოგამოფენას ორგანიზება კულტურული მემკვიდრეობის კურატორმა ანა ჭეიშვილმა გაუკეთა.

ქართული ღვინის გამოფენა-დეგუსტაციაზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანია: „ჩელთი“,„შუხმან ვაინსი“, „შატო მუხრანი“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „შუმი“, „კახური ღვინის მარანი“ „მეღვინეობა ხარება“, „კახური“, „ლუკასი“, „შალვინო“, „თბილღვინო“, „თელიანი ველი“, „ვაინმენი“, „მარანული“ და „ვინაგორი“. ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია OIV წარმოადგენს მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრიანებულია 45 ქვეყანა. ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეღვინეობის დარგის ტექნიკური რეზოლუციებისა და სტანდარტების შემუშავება-ჰარმონიზაცია, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა და ზოგადად დარგის განვითარებაზე ზრუნვა.

აგარა-ზემო ოსიაურის გზის 7 კმ-იანი მონაკვეთი მაისის ბოლოს გაიხსნება

საძართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნუგზარ გასვიანმა, მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებთან ერთად აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა.

ქვეყნის მთავარი სატრანზიტო ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილის — 12 კილომეტრიანი — აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება. აღნიშნული გზის 7 კმ-იან მონაკვეთზე კი ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობის დასრულება და ავტოტრანსპორტის მოძრაობის გახსნა მიმდინარე წლის მაისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ამ დროისათვის, აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობა და ხელოვნური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოებს ქართული კომპანია „Black Sea Group“ და ქუვეითური კომპანია „Copri Construction Enterprises W.L.L“ აწარმოებენ. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 105 მლნ. ლარზე მეტია.

დედამიწის ზურგზე

ესპანეთმა თანხმობა განაცხადა, დააპატიმრონ რამდენიმე რუსეთელი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან მაფიასთან კავშირში

მათ შორისაა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილე, გენერალი ნიკოლაი აულოვი და სახელმწიფო დუმის დეპუტატი „ერთიანი რუსეთიდან“ ვლადისლავ რეზნიკი. ამ უკანასკნელის ესპანეთისათვის გადაცემაზე ადრე რუსეთი უარს აცხადებდა.

ესპანეთის მეფემ პარლამენტი დაითხოვა

ფილიპე VI ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის ძალითაც ქვეყნის პარლამენტის ორივე პალატა დათხოვნილად გამოცხადდა და ახალი არჩევნები 26 ივნისისთვის დაინიშნა. ადრე ამგვარი ბრძანების გაცემის უფლებამოსილება ესპანეთის პრემიერ-მინისტრს ჰქონდა, მაგრამ ამჟამად ქვეყნის ხელისუფლებას დროებით უფლებამოსილება შეწყვეტილი აქვს და პარლამენტის დათხოვნაზე უფლება ესპანეთის მეფის პრეროგატივაა.

ფრანგმა დამსაქმებლისაგან 360 ათასი ევრო მოითხოვა მხოლოდ იმისთვის, რომ იგი „მოსანყენ სამსახურში“ დაასაქმეს

პარფიუმერული კომპანიის თანამშრომელი ამტკიცებს, რომ დამსაქმებელი მას ისე ცოტა საქმე აძლევდა, რომ იგი მოწყენილობისაგან იტანჯებოდა. მან საჩივართან ერთად აღწერა თავისი მუშაობის პროცესი, რომელიც „ჯოჯოხეთურ ტანჯვას“ შეადარა, მისი თქმით, უსაქმურობისაგან მას ნერვული შეტევებიც კი დაეწყო, რომელმაც ჯანმრთელობაზეც იმოქმედა.

ამერიკელ სამხედროებს მოლდოვის პოლიგონზე სანვრთნელი სწავლებების ჩატარებისას პოლიციის დახმარება დასჭირდათ, რათა თავი დაეცვათ მოქალაქეთა გამოსვლებისაგან

მათი კოლონა რუმინეთის საზღვრიდან პოლიგონ ნეგრეშტში მიემგზავრებოდა, რომელიც კიშინოვიდან 40 კილომეტრითაა დაცილებული. სწორედ აქ იგეგმებოდა ერთობლივი სწავლებები მოლდოველ ჯარისკაცებთან ერთად. ამერიკელ სამხედროთა გადაადგილებას წინააღმდეგობა გაუწიეს მოლდოველმა მოქალაქეებმა ოპოზიციური სოციალისტური პარტიიდან. ხელისუფლება იძულებული შეიქნა, დახმარებისთვის პოლიცია გამოეძახა.

განცხადება

2016 წლის 24 ივნისს 12 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი №1), გაიმართება 110 კვ ძაბვის ერთჯაჭვიანი ეგხ ქ/ს „მესტიაჭალა 1“-ქ/ს „კახარის“, 110 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ხაზის ქ/ს „მესტიაჭალა 2“-ქ/ს „კახარის“, 110 კვ ძაბვის ორჯაჭვიანი ეგხ ქ/ს „კახარი“-ეგხ „იფარი-მესტიას“ და ქ/ს „კახარის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მესტიაჭალაზე დაგეგმილი ჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვის მიზნით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — დაბა მესტია, სეტის მოედანი №1;
- სს „სვანეთი ჰიდროს“ ოფისში — ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №79
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

ტელ: 2 60 15 27. E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „სვანეთი ჰიდროს“ ადმინისტრაცია

განცხადება

2016 წლის 24 ივნისს 11 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა მესტია, სეტის მოედანი №1), გაიმართება „მესტიაჭალა 1 ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მესტიაჭალაზე 20.88 მგვტ დადგმული სიმძლავრის „მესტიაჭალა 1 ჰესი“-ს მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტარციულ შენობაში - დაბა მესტია, სეტის მოედანი №1;
- სს „სვანეთი ჰიდროს“ ოფისში — ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №79
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

ტელ: 2 60 15 27. E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „სვანეთი ჰიდროს“ ადმინისტრაცია

„ქალაქი უნდა აშენდეს ისე...“

თბილისის არქიტექტურულ აწმყოზე, ურბანული განვითარების საჭირბოროტო საკითხებზე ცნობილ არქიტექტორთან გივი გაბუნიასთან ჩემი ბოლო საუბრიდან დიდი დრო გავიდა. ამდენად, რა გასაკვირია, რომ რამდენიმე დღის წინანდელი ჩვენი შეხვედრა სწორედ ისევ ამ თემაზე ლაპარაკით დაიწყო.

— რას იტყვით, მოხდა რაიმე სასიკეთო ძვრები ბოლო დროის განმავლობაში ქალაქთმშენებლობაში?

— არქიტექტურული თვალსაზრისით, ვფიქრობ, განსაკუთრებული არაფერი, თუ არ ჩავთვლით ეგრეთ წოდებულ „მილენიუმ ოტელს“, რომლის 40-სართულიანი შენობა ძველი სავარძლიდან ამოვარდნილი ზამბარასავით რომ წამოიჭიმა რუსთაველის პროსპექტზე და თბილისის ძირითადი დომინანტი — მთაწმინდა კიდევ ერთი კუთხიდან დაფარა.

ასევე ჩატარდა შესარჩევი კონკურსი და დაიწყო მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავება, რომელიც 2018 წლისთვის შევა ძალაში, თუკი ამ დროისთვის ყველა შესაძლო შეცდომა არ იქნება დაშვებული. თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ტიპის დოკუმენტი ქვეყნის სხვა ქალაქებსაც ჰაერივით სჭირდებათ, მათ შექმნას კი ჯერჯერობით პირი არ უჩანს.

ბოლოდროინდელი კვიდევ ერთი სიახლეა სამშენებლო დარგისთვის რამდენიმე მეტად საგულისხმო საკანონმდებლო დოკუმენტის გამოქვეყნება, რომელთა შორის აღსანიშნავია „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“. მათი შემოღება წლეულსაა გათვალისწინებული, თუმცა კი დოკუმენტის მოცულობიდან გამომდინარე მისი მარტო ჯეროვნად შესწავლა-გაცნობიერება სპეციალისტებისგან საკმაოდ დროს მოითხოვს.

— რამდენადაა მოქცეული ჩვენში არქიტექტურისა და მშენებლობის დარგი ქვეყანაში დღესდღეობით არსებულ პოლიტიკური გარემოს ზეგავლენის ქვეშ და რამდენად შეიძლება აისახოს მასზე მოვლენათა მომავალი განვითარება?

— მაშინ, როცა სინამდვილე სოციალურ-დარვინიზმის, ანუ არსებობისთვის ბრძოლის პირობებში ყალიბდება, პრობლემების იერარქიას, მათი გადაწყვეტის პრიორიტეტებს განსხვავებული ლოგიკა განაპირობებს და სხვა მოტივაცია განსაზღვრავს.

— ამაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— იმას რომ, კაცი, რომ იტყვიან, „მიმწოლი“ უნდა იყო, ფულის ან თანამდებობის, გნებავთ, ორივეს ერთად საშოვნელად ყველა ღონე და ხერხი უნდა იხმარო. სხვა შემთხვევაში ყველას „დამსახურებისდა“ მიხედვით მიეგება: ღარიბს — სიღარიბე, მშიერს — შიმშილი, უმუშევარს — უმუშევრობა და ა.შ. შესაბამისად, ქალაქთმშენებლობის მართვის შესაძლებლობა იმას ექნება, ვინც ამ უფლებას მოიპოვებს. წინა წლების გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს იქნება არა დარგის რომელიმე პრინციპული სპეციალისტი, არამედ სხვა პროფესიის პირი, რომელიც ხელს არ შეუშლის გავლენიან მშენებლებს პარკებში, სკვერებში, სპორტულ მოედნებზე, შიდა ეზოებში მრავალსართულიანი სახლების მშენებლობას, თავს არ მოახვევს მათ დაწერილ თუ დაუწერელ ურბანულ კანონებს.

— თუკი მართლა სოციალ-დარვინიზმის გარემოში ვცხოვრობთ, კონკრეტულად რა გავლენას ახდენს ეს ქვეყნის განვითარებაზე, მის პრიორიტეტებზე?

— როცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ყოფით პრობლემებს ვერ აუდის, მაშინ ძნელია ქალაქთმშენებლობაზე, არქიტექტურაზე, ზოგადად, მაღალ მატერიებზე ფიქრი. ამ დროს მთავარია თავის გადარჩენა, ხოლო როცა ამის გაკეთება ჭირს, მაშინ ადამიანთა გულებში ნიჰილიზმი ისადგურებს, აგრესია იჩენს თავს. ასეთ გარემოში ხელისუფლებაც ძირითადად ძალაუფლების შენარჩუნებითაა დაკავებული და ცდილობს, ერთი მხრივ რაიმე მძიმე შეცდომა არ დაუშვას, მეორე მხრივ მოსახლეობის უკმაყოფილების გაინეიტრალება სურს. მძიმე შეცდომად უფრო ბიუჯეტის შეუსრულებლობა აღიქმება, ვიდრე, ვთქვათ, ქალაქების იერ-სახის დამახინჯება, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო და ინჟინრული ინფრასტრუქტურა, ანდა ეკოლოგიური პრობლემების უგულებელყოფა.

— ნაციონალურ მოძრაობას და მის ლიდერსაც ჰქონდა, როგორც ვიცით, არქიტექტურაში თვითდამკვიდრების სურვილი...

— რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკური ამბიციებით არ შემოიფარგლებოდა, არქიტექტურაშიც აქტიურად ერეოდა. ამასთანავე, თავის „კარის“ არქიტექტორებიც ჰყავდა და თავისი „გენერალური გეგმაც“ ჰქონდა. ამდენად, აქაც, ზოგიერთ დადებით მაგალითთან ერთად, ყოვლისშემძლეობის ილუზიამ ბევრი უარყოფითი შედეგი მოგვცა, მაგრამ მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა (მათ შორის — ქალაქთმშენებლობაში) მათ ჯიუტად არავინ აღიარებდა — არც თავად ლიდერი, არც მისი გარემოცვა.

მათ ავიწყდებათ, რომ რეპუტაცია, ქალწულობისა არ იყოს, მხოლოდ ერთხელ იკარგება. რაც შეეხება უფრო ადრინდელ პერიოდს, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქთმშენებლობის — როგორც დარგის — სოციალური პრესტიჟი საკმაოდ მაღალი იყო. მაგალითად 80-იან წლებში ხდებოდა თბილისის, ქუთაისის, წყალტუბოს, თელავის და სხვა ქალაქების გენერალური გეგმების რეალიზაციის განხილვა, რომელსაც ცენტრალური მთავრობის და ადგილობრივი მმართველობის მაღალი რანგის ჩინოსნები აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ და ამ პროცესში ჩართულები ყოფილიყვნენ.

— მაგრამ თანამედროვე პირობებში რამდენად შესაძლებელია მჭიდრო, ინტერაქტიური ურთიერთობა ხელისუფლებისა და არქიტექტურის, საერთოდაც ჩინოსნებისა და ხელოვნების წარმომადგენლებს შორის?

— ჩემი აზრით, კულტურული ფასეულობები, მეცნიერება და ხელოვნება ბევრად განაპირობებს ქვეყნის იდენტურობას, მის სუვერენიტეტს. ისინი უნდა მართავდნენ პოლიტიკას და არა პირიქით, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა. რაც შეეხება ქალაქთმშენებლობას, იგი სხვადასხვა დოზით მოიცავს თითქმის ყველა დარგს და ნებისმიერი პროგრამა თუ პროექტი ამ სფეროში ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი, თუკი ის მრავალი სპეციალისტის ერთობლივი, კოორდინირებული შრომის ნაყოფი არ იქნება.

„ქალაქი უნდა აშენდეს ისე, რომ უზრუნველყოს თავის მცხოვრებთა უსაფრთხოება და ბედნიერება“, — წერდა არისტოტელე. ეს კი შეუძლებელია, თუ ქალაქთმშენებლობის დარგს არ ექნება მჭიდრო კონტაქტი სამთავრობო სტრუქტურებთან, პოლიტიკურ ძალებთან. ამასთანავე, სრულყოფილი შედეგის მისაღებად დამკვეთის და შემფასებლის ნიჭი და გემოვნება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით შემსრულებლისა, ამიტომ იგი მუდმივად დახვეწას საჭიროებს.

— მედიასაშუალებებსაც, ალბათ, გარკვეული როლი ეკისრებათ დარგობრივი თუ იერარქიული ურთიერთგაგების, ურთიერთშეთანხმების პროცესში. განა ასე არ არის?

— სამწუხაროდ, ის, რაც ტელეეკრანებსა და გაზეთების ფურცლებზე ხდება, ხშირად ძნელი ასატანია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საინფორმაციო საშუალებები პოლიტიკური ელიტის დანამატად გადაიქცნენ და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის, პარლამენტარის ფრაქციის ურთიერთკინკლაობით, „ჩაშვებებით“ ან ბოლოდროინდელ „სექსსკანდალებით“ ტვირთავენ ფსიქიკას. ამ უკანასკნელმა, მდორე სოციალურ ფონზე მიმდინარე პოლიტიკურ თამაშებში თითქოს რაღაც ეგზოტიკური შეიტანა. ეს ყველაფერი გალაკტიონ ტაბიძის ერთ ლექსს მაგონებს: „მიდის ოპერა „ლაკმე“, ბუტაფორიის შეხლა, განა ეს არის საქმე, მე სულ სხვას ვხედავ ეხლა...“ ამ დროს სულ სხვა, არა ბუტაფორიული, არამედ კონკრეტული, ყოველდღიური პრობლემები აწუხებს ხალხის უმეტესობას, მათ შორის სოციალური გარემოს გაუმჯობესება, მასში საკუთარი ადგილის მოძებნა და პიროვნული დამკვიდრება. უმეტესობას აინტერესებს არა ის, თუ ვინ იქნება ამა თუ იმ არხის მფლობელი, არამედ, ის, თუ რამდენად სასარგებლო და პროდუქტიული იქნება ამ არხის ფუნქციონირება და რამდენად შეძლებს ის მაყურებლისათვის „შემწვარი ჰაერის“ მაგივრად საინფორმაციო ჟანგბადის მიწოდებას, ხოლო ჟურნალისტები მხოლოდ პარლამენტის ან მთავრობის წევრებს არ დაედევნებიან მიკროფონებით ხელში.

— მოახლოებულ მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით თუ გაქვთ რაიმე პროგნოზი?

— ვფიქრობ, რომ მას „ქართული ოცნება“ მოიგებს, თანაც დიდი უპირატესობით. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ადრე ჩატარებულმა ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ უმეტესობაში მთლიანი საარჩევნო რესურსი დაახლოებით ასე ნაწილდება: ადმინისტრაციული რესურსი — 70 პროცენტი, ფინანსური რესურსი — 20 პროცენტი. ინტელექტუალური და პროფესიონალური რესურსი — 10 პროცენტი, იმის გათვალისწინებით. რომ მარტო სხვადასხვა რანგის ჩინოსნების რიცხოვნობამ ქვეყანაში 100 ათასს გადააჭარბა და ისინი, როგორც წესი, თავის ახლობელ-ნათესავებთან ერთად ლოიალურები არიან არსებული ხელისუფლების მიმართ, აგრეთვე მმართველი ძალის სხვა პოლიტიკური მომხრეები — ჯარი, პოლიცია, უშიშროება — ეს უკვე საკმარისი ძალაა, რომ არჩევნების ბედი გადაწყვიტოს. იმის გათვალისწინებით, რომ „ქართულ ოცნებას“ ფინანსური რესურსიც არ აკლია, ბოლო ფაქტორი აქ შეიძლება არც ისე მნიშვნელოვანი იყოს.

— მაგრამ ნაციონალებიც ხომ ფლობდნენ ადმინისტრაციული რესურსს. მაშ, რატომ ვერ მოიგეს 2012 წლის არჩევნები?

—ამაში როლი შეასრულა, ერთი მხრივ, მათ მიერ შეცდომების დასაშვები „ლიმიტის“ გადამეტებამ და, მეორე მხრივ, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა და „ციხის კადრებმა“, რომლებმაც მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში ძლიერი საპროტესტო მუხტი გამოიწვია. მე არასოდეს მინახავს თბილისის ქუჩებში გამოსული იმდენი ხალხი, როგორც ეს 2012 წლის 29 სექტემბერს მოხდა.

— ჩვენ ადრეც გვისაუბრია დედაქალაქის გამწვანების და, ზოგადად ეკოლოგიის საკითხზე. რატომ არის ეს პრობლემა „მეორეხარისხოვანთა“ ნუსხაში გადაყვანილი, არა მარტო თბილისის სინამდვილეში, არამედ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. იმ დროს, როდესაც ტყეები ჩანაგდება, მდინარეები ბინძურდება, სამი ხის გადატანა და ამის გარშემო ატეხილი ხმაური რამდენად ადეკვატურია?

— გეთანხმებით, რომ ამ სამი ხის გადანერგვის ფაქტის დრამატიზება უფრო ერთი პიროვნების წინააღმდეგ ატეხილ პიარს წააგავს, ვიდრე ბუნებრივ გარემოზე ზრუნვას. ამ პიროვნების ინიციატივა რომ არა, ალბათ, ძველი იპოდრომის „მწვანე კუნძული“ ახლა მაღლივი კარკასებით იქნებოდა ამოჭედილი, რომლებიც სოკოებივით მრავლდება ქალაქში, მეორე მხრივ, ჩვენ საკმაოდ მძლავრი და ტექნიკურად კარგად აღჭურვილი სამშენებლო სექტორი გვაქვს, სადაც 200-ზე კომპანიაა ჩართული დიდი რაოდენობის მუშახელით და, ცხადია, რომ ისინი შესაბამის ასპარეზს ეძებენ. ამიტომ პრობლემა არა მათი „დამუხრუჭება“, არამედ ამ პოტენციალის რაციონალური გამოყენებაა, რომელიც მხოლოდ დედაქალაქის ფარგლებში არ იქნება კონცენტრირებული.

რაც შეეხება ზოგადად ეკოლოგიის პრობლემებს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, მინდა, ერთი ციტატა მოვიყვანო ნიდერლანდის პრინც ბერნარდის 90-იანი წლების წერილიდან, რომელიც საქართველოს ეხება: „ევროპის სხვა არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ფლორისა და ფაუნის ასეთი მრავალფეროვნება და, ალბათ, საერთოდ იშვიათად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც განუმეორებელი სილამაზის ბუნებრივ ლანდშაფტს ასე საოცრად ენაცვლებოდეს ძველი კულტურული ლანდშაფტი...“

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

დედაუნივერსიტეტი კანცლერს ირჩევს

თსუ-ში კანცლერობის მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო. ამ პოზიციაზე ახალი კონკურსის გამოცხადება მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც კანცლერობის წინა კანდიდატმა გიორგი გაფრინდაშვილმა, სტუდენტთა ნაწილის პროტესტის გამო, კანდიდატურა მოხსნა. რეგისტრაცია 13 მაისს დასრულდება.

უკვე დასრულებულია აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია. აკადემიური საბჭოს არჩევნები თსუ-ში 11 მაისს გაიმართება. 16 მაისიდან კი, უნივერსიტეტს ახალი აკადემიური საბჭო ეყოლება.

◎ ფარიკაობა

ბაზაძის მესამე ევროპული სიმაღლე

ბულგარულ პლოვდივში მიმდინარე 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატში მოხმალავე სანდრო ბაზაძემ, რომელმაც ამას წინათ პრაღაში რიოს ოლიმპიური თამაშების საგზური მოიპოვა, ჯგუფში ზედიზედ სძლია ბრინმორ საუნდერსს (დიდი ბრიტანეთი, 5:1), ემილი დე ვისშერს (ბელგია, 5:2), ფრანჩესკო ბოსტანტოს (იტალია, 5:4), მიხაილ აკულას (ბელარუსი, 5:2), დამიან ზვონირსკის (პოლონეთი, 5:0) და პლეი ოფში გავიდა, სადაც პირველ შეხვედრაში თანაგუნდელ მიხეილ მარდალეიშვილს აჯობა — 15:6, მერე მადალინ ბუკურისა (რუმინეთი, 15:14) და იაკუბ ოსინსკის (ისრაელი, 15:9) მოუგო, ნახევარფინალში რუსი ალექსანდრ ტრუშაკოვი დაჯაბნა — 15:13, გადამწყვეტ პაექრობაში კი იტალიელი ფრანჩესკო დარმიენტო დაამარცხა — 15:10 და ახალგაზრდებში ევროპული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მესამედ ავიდა.

— ჩემპიონობა ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რადგან ოქროს მედალი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე მოვიპოვე, — გვითხრა სანდრო ბაზაძემ, რომელსაც პლოვდივში შევეხმიანეთ. — ისეთ მეტოქეებს ვძლიე, ნებისმიერს რომ შეეძლო ტიტულის დასაკუთრება. განსაკუთრებით ნახევარფინალში ახალგაზრდებს შორის რუს მსოფლიოს ჩემპიონ ტრუშაკოვსა და ფინალში იტალიელ დარმიენტოსთან გამართული პაექრობები მინდა გამოვყო. ვეცდები, ქომაგები წლეულს რიოშიც გავახარო.

გუშინ გაირკვა, რომ მოხმალავეთა გუნდური ტურნირის ფინალში „ჯვაროსნები“ რუსეთის ნაკრებს შეხვდებიან.

ლექსო ციინცაძე

სურათზე: სანდრო ბაზაძე.

◎ ჭადრაკი

მთავარი პრიზები — მელიას და სუტოვსკის

ნონა გაფრინდაშვილის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის ჭადრაკის სასახლეში ნონას თასი შვეიცარიული სისტემით — ცხრა ტურად გათამაშდა. მთავარი პრიზების ბედი ბოლო ტურმა გადაწყვიტა. რვა შესაძლებლობიდან 6.5-6.5 ქულით ემილ სუტოვსკი (ისრაელი) და ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) მეწინავეობდნენ. ლიდერები ბოლო ტურში თამაშის გაუმწვავებლად დაუზავდნენ მეტოქეებს: სუტოვსკი შავი ფიგურებით სერგეი ჟიგალკოს (ბელარუსი) შეუთანხმდა ყაიმზე, ხოლო გაბუზიანმა ევგენი რომანოვთან (რუსეთი) გაიყო ქულა. ამდენად, ემილმა და ჰოვანესმა 7-7 ქულას მოუყარეს თავი. უკეთესი კოეფიციენტით ნონას თასი ემილ სუტოვსკის ერგო.

9 ტურის შემდეგ: ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 7), ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი, 7), ევგენი რომანოვი (რუსეთი, 6.5), სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი, 6.5), მერაბ გაგუნაშვილი (6), კონსტანტინე შანავა (6), მანუელ პეტროსიანი (სომხეთი, 6), ლევან ფანცულაია (6), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი, 6), შოთა აზალაძე (6), ბაადურ ჯობავა (6), სალომე მელია (6).

ქალებში სწორედ მელიამ დაიკავა პირველი ადგილი. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა ინგა ჭარხალაშვილმა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. 5 ქულით მესამე ადგილი მერი არაბიძეს ხვდა.

გივი გაგუა

სურათზე: მარცხნიდან — ემილ სუტოვსკი, ნონა გაფრინდაშვილი და სალომე მელია.

◎ ძიუდო

ალემანთა იღბლიანი ტატამი



2 „ოქრო“, 4 „ვერცხლი“, 6 „ბრინჯაო“ და საერთო გუნდურ ჩათვლაში რუსეთისა და იაპონიის შემდეგ დაკავებული მესამე ადგილი — ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ ბერლინის ევროპის თასის გათამაშებიდან ქართველი ჭაბუკი ძიუდოისტები. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ოთარ ტალახაშვილი (55) და გელა ზაალიშვილი (+90). მხოლოდ ფინალები დათმეს და მეორე ადგილებზე საბა გრიგალაშვილი (60), ტატო გრიგალაშვილი (73), სოსო ებილაშვილი (81) და ნიკა დონღვანი (+90) გავიდნენ, ხოლო სანდრო ძამაშვილს (50), გაგა ბახტიძეს (60), ალეკო მამიაშვილს (66), ნოდარ ბერიაშვილს (81), ომარ საურსა (90) და ამირან წიქორიძეს (+90) „ბრინჯაო“ ხვდათ.

ვაჟა ნოსირელი

◎ ჭიდაობა

„თავისუფლების“ აზერბაიჯანული ნადავლი



ბაძოში ჭაბუკმა და ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა აზერბაიჯანის ფედერაციის თასის გათამაშებაზე გამოსცადეს მკლავისა და მუხლის ძალა. „კლასიკოსების“ მსგავსად, წარმატებით იასპარეზეს თავისუფლებმაც, განსაკუთრებით — ახალგაზრდებმა, რომლებმაც 5 მედალი მოიპოვეს: 2 „ოქრო“, ამდენივე „ვერცხლი“ და 1 „ბრინჯაო“. ჩემპიონები გახდნენ ივერიკო ჯულაყიძე (66) და გივი მაჭარაშვილი (96), ვერცხლის მედლებს ტარიელ გაფრინდაშვილი (74) და ზაურ ბერაძე (84) დაყაბულდნენ, ხოლო ზურაბ ურთაშვილს (120) ბრინჯაო ერგო. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მესამეზე გავიდა აზერბაიჯანისა და ირანის გუნდების შემდეგ.

მართალია, ჭაბუკებმაც 5 მედალი დაიმსახურეს, მაგრამ „ოქროს“ ვერ შესწვდნენ. 1 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“ — ასეთია მათი მონაგარი. ლაშა ბაირამოვი ფინალში 2:13 დამარცხდა თურქ ნაილ საიართან. მესამე საპრიზო ადგილზე ვლადიმერ გამყრელიძე (50), გოგა მამიაური (69), მიხეილ ბოჭორიძე (76) და დავით ქოჩქიანი (85) გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები პრიზიორებში ვერ მოხვდნენ.

ლაშა დიდიდა

◎ ფიფა-ფინალი

ფინიშთან პირველი გუნინა მივიდა

დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს 2015-2016 წლების გრან პრის გათამაშების მესამე ეტაპი, რომელსაც ბათუმმა უმასპინძლა. ექვსი ქვეყნის 12 წარმომადგენელი წრიული სისტემით შეხვდა ერთმანეთს — გათამაშდა 11 ტური.

საბოლოო შედეგები: ვალენტინა გუნინა (რუსეთი)-7.5, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ანა მუზიჩუკი (უკრაინა), ნინო ბაციაშვილი (საქართველო)-6-6, ნანა ძაგნიძე (საქართველო), ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი), ჟაო სიუე (ჩინეთი)-5.5-5.5, მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ლელა ჯავახიშვილი (საქართველო), ოლგა გირია (რუსეთი)-5-5, ელინა დანიელიანი (სომხეთი)-4.5, ბელა ხოტენაშვილი (საქართველო)-4 ქულა.

თამაზ პატარიძე

სურათზე: ნინო ბაციაშვილი.

◎ ინტერნეტიდან

შაკირა „ესპანიოლის“ წინააღმდეგ!

შესაძლოა 24 ათასი ევრო ესპანური ლა ლიგის კლუბისათვის დიდი არაფერი თანხაა და „მზესუმზირის ფულია“, მაგრამ როდესაც საქმე პრინციპებსა და ღირსებას ეხება, ჯარიმის სახით 1 ცენტის დაკისრებამაც კი ბევრი რამ შეიძლება განსხვავებულად დაგვანახოს.

საქმე ისაა, რომ „ესპანიოლის“ მავანმა გადარეულმა ქომაგებმა კატალონიურ დერბიში „ბარსელონას“ მცველის ხერარდ პიკეს გულისსწორის შაკირას მისამართით შეურაცხმყოფელი პლაკატი გადმოფინეს, რასაც დიდი სკანდალი და შაკირას სასამართლოში ჩივილი მოჰყვა. პლაკატზე ეწერა: „შაკირა ყველას საკუთრებაა“.

როგორც დასაწყისიდანვე მიხვდით, ხერარდის თითქმის ცოლმა (მიუხედავად იმისა, რომ ხერარდ პიკესა და შაკირას 2 შვილი ჰყავთ, ისინი დაქორწინებას არ ფიქრობენ) სასამართლოში იჩივლა და მოსამართლემაც „ესპანიოლს“ 24 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. აბა რა ეგონათ! მაგათ არ იციან, შაკირას რა შეუძლია!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ტაბლო

ფეხბურთი

ინგლისი. „მანჩესტერი“ — „ლესტერი“ 1:1, „ჩელსი“ — „ტოტენჰემი“ 2:2.

„ლესტერმა“ 77 ქულა მოაგროვა და ფინიშამდე 2 ტურით ადრე პრემიერლიგის ჩემპიონობა გაინაღდა. მის უახლოეს მდევარ „ტოტენჰემს“ 70 ქულა აქვს.

კალათბურთი

ნბა-ს პლეი-ოფი. „სან ანტონიო“ — „ოკლაჰომა“ 97:98 (სერიის ანგარიში 1:1), „კლივლენდი“ — „ატლანტა“ 104:93 (1:0).

გიორგი შოთაძე

◎ ისტორიის ნამცვრევები

ხელიდან გაშვებული შანსი

XVII საუკუნის 50-იან წლებში კვლავ გააქტიურდა ირანის შაჰის აბას I-ის ძველი გეგმა, რომელიც კახეთის მოთხრას, იქ თურქმანების ჩასახლებას და სახანოს შექმნას ისახავდა მიზნად. გადაწყვეტილი იყო კახეთში თურქმანთა 15000 ოჯახის ჩასახლება და მათთვის მხარის საუკეთესო მიწების განაწილება, რათა ეს მომთაბარენი „ხვნა-თესვას, შენებას და დასახლებას“ შედგომოდნენ. ამ გეგმით 1656 წელს ქართლის მეფე როსტომს მისთვის 8 წლის წინათ საგანგებოდ გადაცემული კახეთი ჩამოართვეს და კვლავ განჯის ხანს სელიმს დაუქვემდებარეს.

შაჰ აბას II-ს (1642-1666) სახსრები არ დაუზოგავს თურქმანთა ჩამოსახლებისა და მათი დაცვის ორგანიზაციისთვის. ამ საქმის მოწყობა შაჰმა ირანის ყულარაღასასა და სარდალს ალავერდი ხანს დაავალა. მასვე მიენდო კახეთში სამი ციხის აგება, რომელთა გარნიზონებს თურქმანები უნდა დაეცვათ ქართველთა თავდასხმებისგან, ციხეების ასაშენებლად კახეთს მოავლინეს ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებელი მუშები, საჭირო ფული.

ძართველი მეომრები ბრძოლის ველზე

ირანელებმა ალავერდის მონასტრის გალავანი ციხესიმაგრედ გადააკეთეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. პირველად ციხე აშენდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა სოფელ ბახტრიონში. ციხე, რომლის სიგრძე ას მეტრს აღემატებოდა, კონტროლს უწევდა კახეთის მთიანეთიდან ბარში ჩამავალ გზებს და ალაზნის ზემო წელში დასახლებულ თურქმანებს მთიელთა თავდასხმებიდან იფარავდა.

მესამე ციხე ყარაღაჯი, კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენციად იქცა.

ციხეების აგების შემდეგ კახეთი ორად გაჰყვეს. დიდი ნაწილი — სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე — ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთუზ ყული ხანს, ხოლო დანარჩენი — ნახიჩევანის მმართველს ალი ყული ხან ქენგერლუს გადაეცა და დაევალათ ყარაბაღსა და ნახჩევანში მყოფი მომთაბარე ელების (თურქმანების) კახეთში გადაყვანა. ამ გზით კახეთის ბარში დაახლოებით 80 ათასამდე თურქმანი ჩაასახლეს.

ელები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და ვრცელი საძოვრები სჭირდებოდათ. კახეთის კულტურული მეურნეობას, ძირითადად მევენახეობას, გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ასეთივე საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მთიანეთის მოსახლეობა, რომელიც ბარის პურითა და ღვინით, ბარის ზამთრის საძოვრებით ირჩენდა თავს. ამას ემატებოდა ყიზილბაში მეციხოვნეების თავხედობა და სიმკაცრე.

კახეთი საყოველთაო უკმაყოფილებამ მოიცვა. ისე, ელების წინააღმდეგ სახალხო მოძრაობა მათი ჩამოსახლებისთანავე დაიწყო. მთიელთა, განსაკუთრებით თუშების პარტიზანული გუნდები თავს ესხმოდნენ, როგორც ელებს, ისე ყიზილბაშ მეციხოვნეებს. ამ მოძრაობის ბელადები იყვნენ სახალხო გმირი თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშარაული, ფშაველი გოგოლაური...

მთელი კახეთი აღდგა, მას მხარში ქართლიც ამოუდგა. აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა არაგვის ერისთავმა ზაალმა ითავა, თუმცა, ბრძოლებში მას მონაწილეობა პირადად არ მიუღია. აჯანყებულთ უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ კახელი თავადი, თეიმურაზ I-ის თანამებრძოლი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსი და ქართლის უწარჩინებულესი თავადები შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმისწული ელიზბარი.

1660 წელს აჯანყებამ იფეთქა. არაგველთა ლაშქარი ზაალ ერისთავის ვაჟის ზურაბის სარდლობით და ქსნის ერისთავის ჯარი შალვასა და ელიზბარის მეთაურობით თიანეთის გზით ახმეტაში ჩავიდა. ნაქერალის მთით მოდიოდნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი. კახეთის ბარის ლაშქარი ბიძინა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით ალავერდს მიუახლოვდა. აჯანყებულებმა თითქმის ერთდროულად შეუტიეს ბახტრიონს და ალავერდს. ციხეები აიღეს, მეციხოვნეთა დიდი ნაწილი გაწყვიტეს, გაქცეულებს ალვანის მინდორზე გაავლეს მუსრი. იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა, ხალხი ახლაც „გაწყვეტილას“ ეძახის.

დედაბუდიანად ამოხოცეს სხვა ადგილებში დასახლებული თურქმანებიც. ელების ნაწილი დაიფანტა და გაქცევით უშველა თავს. **„ეს ის დრო იყო, როდესაც მთასა ჭლოცავდა ბარია, როს სალოცავად მიაჩნდა მთიელის ხალხის გვარია“** — ამბობს ვაჟა.

კახეთი გადაშენების საფრთხეს გადაურჩა, მაგრამ აქ მოხდა, ის, რაც მანამდეც და შემდეგაც ხშირად მომხდარა საქართველოში.

მურთუზა ყული ხანმა, რომელსაც მთელი კახეთი დაუმორჩილეს, შეძლო აჯანყებულთა გათიშვა და დაქსაქსვა. მრავალი გუშინ ხმალშემართული ფეოდალი გადაიბირა და შაჰს დაუმორჩილა. ამან შეუძლებელი გახადა ირანელთა ბატონობის მოსპობა და მეფობის აღდგენა. ეს კია — ირანელებს კახეთში ახალი ლაშქრობა აღარ მოუწყვიათ. შაჰს ახალი დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის თავი აღარ ჰქონდა.

შემდეგ ანგარიშსწორება დაიწყო.

ზაალ ერისთავი შაჰის ბრძანებით ქართლის მეფემ ვახტანგ V-მ მოაკვლევინა ზაალისავე ძმისწულებს. ვახტანგის აქტიურობის მიზეზი ის არ ყოფილა, რომ ზაალი აჯანყების საერთო მეთაური იყო, არამედ ის, რომ იგი არ ცნობდა ქართლში ვახტანგ V შაჰნავაზის მეფობას. არაგვის ერისთავის შვილები შეიპყრეს და შაჰს გაუგზავნეს.

ამის შემდეგ აჯანყების სხვა მეთაურებიც გატყდნენ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები თავად გამოცხადებენ შაჰთან და პატიება ითხოვეს, რათა კახეთისთვის ყიზილბაშთა ახალი შემოსევა აეცილებინათ. შაჰმა ისინი იმ თურქმანულ ტომს გადასცა, რომელთა თანამოძმენიც კახელებმა გაჟლიტეს.

ისინი ველურად აწამეს. ჯერ ისლამის მიღება მოსთხოვეს, როცა უარი მიიღეს, მიწაზე ათრიეს და სასტიკად სცემეს. შემდეგ პაპანაქაქა სიცხეში მზეზე დაყარეს გაშიშვლებულნი, შალვას და ელიზბარს წვივები ხმლით გადაუჩეხეს და წაქცეულებს თავები მოჰკვეთეს.



ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ძსნის ერისთავები.
ავტორი: მიხეილ საბინინი

ბიძინას უარესი ელოდა. ჯერ იმით შეურაცხყვეს, რომ ახოვან გმირს დედაკაცის ჩადრი დახურეს, ვირზე შესვეს და ქუჩა-ქუჩა ატარეს, დასცინოდნენ და ლანძღავდნენ. ხელისა და ფეხის თითები წააჭრეს, შემდეგ — ხელები მაჯებამდე და ფეხები — კოჭებამდე, მოჰკვეთეს ორივე მკლავი და ორივე წვივი. ნაწამებს ბოლოს შუბი აძგერეს.

ნაწამებთა გვამები მთელი დღე მზის გულზე ეყარა. ბიძინას ნეშტი იქ მყოფმა კათოლიკე მისიონერებმა დაკრძალეს. შალვას მეუღლემ ქეთევანმა და მისმა ძემ დავითმა თავდადებულთა ცხედრების მოსაძებნად ფარულად გაგზავნეს ხალხი სპარსეთში და საქართველოში ჩამოასვენეს, სადაც იკორთის ქსნის ერისთავთა საგვარეულო ტაძარში დაკრძალეს. ეკლესიამ ისინი წმინდანებად შერაცხა. ეს მოხდა 1961 წელს.

რაც შეეხება ზეზვა გაფრინდაულსა და მის თანამებრძოლებს, ისინი ერთხანს კიდევ განაგრძობდნენ პარტიზანულ ომს კახეთში დარჩენილ ყიზილბაშთა წინააღმდეგ. ხალხმა ამ გმირებს მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა, რითაც სამუდამოდ უკვდავყო მათი სახელი.

მოამზადა
სანდრო ალექსიძემ

განცხადება

2016 წლის 23 ივნისს 12 საათზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: წერეთლის ქუჩა №9) გაიმართება წაბლარი ჰესის მშენებლობისა და ოპერირების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს მდინარე წაბლარისწყალზე 24 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლოატაციას.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ბაღდათი, წერეთლის ქუჩა №9;
- შპს „Georgian Green Power“-ის ოფისში — ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 34, პიქსენ ბიზნეს ცენტრი, მე-9 სართული;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „GEORGIAN GREEN POWER“-ის
ადმინისტრაცია

მეუღლე ირენა, შვილები ალექსანდრე, გრიგოლი, რძლები ელენე, ოლგა, შვილიშვილები ირენა, ალექსანდრე, ვიქტორი, ანასტასია, მარია, და თინათინი, სიძე გურამ ვაშაკიძე, დისშვილები ქეთევანი, თინათინი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვიქტორ (ვოვა) ალექსანდრეს ძე

ბერუაშვილი

პანაშვიდი 4 V, 18 სთ. გამოსვენება 5 V, 14 სთ. მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-7 კვ. ნა კორპუსი, III სადარბაზო. VII ს.

რევაზ ჩაგელიშვილი და დონარა სალაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის ახლო მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი, აკადემიკოსი

გივი ბადრიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პირადობის მოწმობები უფასოდ...

საქართველოს მოქალაქეები 26 მაისიდან 26 ივნისამდე პირადობის მოწმობას უფასოდ აიღებენ — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ცესკოსთვის გადაცემული მონაცემთა ბაზის მიხედვით, 1 მაისის მდგომარეობით სიაში 3,53 მილიონი პოტენციური ამომრჩეველია, მათ შორის არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასული სრულწლოვანი პირები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი სტატუსი აქვთ. პოტენციური ამომრჩევლის სიაში ასევე არიან ე.წ. უმისამართოები, სულ 30 298 პირი.

მეუღლე შოთა გორგოძე, შვილი მანანა, სიძე დავით კვაჭაძე, შვილიშვილები დათო, თამრიკო კვაჭაძეები, სიძე ლევან სიხარულიძე, შვილთაშვილი ილიკო სიხარულიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაურა გუნიავა-გორგოძე

პანაშვიდი 3, 4 V, დაკრძალვა 5 V, 14 სთ. მისამართი: თბილისი, თაქთაქიშვილის (რიგის) ქუჩა №2.

და ბელა (ლერი) გუნიავა-ნინიძე, სიძე ვახტანგ ნინიძე, დისწულები დავით, ნანა ნინიძეები ოჯახებით იუწყებიან საყვარელი დისა და დეიდის

ლაურა გუნიავა-გორგოძის

გარდაცვალებას.

ვალერი გორგოძე, გოჩა გორგოძე, მალხაზ ხვედელიანი მწუხარებით იუწყებიან ბიცოლის

ლაურა გუნიავა-გორგოძის

გარდაცვალებას.

ვაჟა, ჯემალ, ნათელა გორგოძეები, რძლები ნათელა, ნარგიზი ოჯახებით იუწყებიან საყვარელი რძლის

ლაურა გუნიავა-გორგოძის

გარდაცვალებას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა სამძიმარს უცხადებს ბატონ შოთა გორგოძეს მეუღლის

ლაურა გუნიავა-გორგოძის

გარდაცვალების გამო.

◎ სათრეველები

ბოტი ნიკას ბოტანიკა

**თუმცა ნიკა მელიას
საქმე შემოელია;
დასვენებას ვინ აცლის?
ესიზმრება მერია,
დანარჩენი მერეა,
ძალზე მოპანიკური
ბაღი ბოტანიკური
და „რჩევები“ ვიღაცის.
ვითომ სხვამ დაგვაქცია,
ხალხიც სხვამ გააქცია,–
სურს 4 მაისს აქცია
მიხოს კუდის რიკასა,
და სატანის მორალში
მხარს ვინ უჭერს ნიკასა?**

გაყიდული ხეობა

**არ დასრულდა, არ იქნა
არიქა და შარიქა,
გვანგრევს მიხოს და ნიკას
ინტრიგა და პანიკა!
სიბილწეა ჩართული
უბინძურეს სვლა-გეზში,
იმედი აქვთ ათურმის,*
ინტრიგებში დაგეშილთ
თბილისის და ბათუმის
ბოტანიკურ ბაღებში.
რომ გაჰყიდეს ხეობა
კოდორისა, დალისა,
ჰგონიათ რომ ღალატი
დავიწყებამ წანისლა,
და ისევ სურთ ზეობა
მაოხრებელ მკვდარისა!**

*ათურმა – თავზე
გადახტომა (ს.მაკალათია)

შაშუბეში

**რაა, ნეტავ, აი,რაი?
ნუთუ მართლა ბედი არი,
რომ გვაცდუნებს „აი-რაი“,
ტყუპისცალი „ენ-დი-აის“?
ყველა საღი აზრის ქეშიკს*,
„ნაცს“ რომ ჯაბნის სიყალბეში,
„შაშით“ ვერა, მაგრამ „ბეშით“
სურს რომ გააცოცხლოს ლეში!**

*ქეშიკი – ქონდაქარი, ყასაბი,
ყარჩი, ჯალათი(ალ.ნეიმანი)

ალექსანდრე შენგელია

მოდის მსხვერპლნი

ლამაზად და მოდაზე ჩაცმა ყველას გულს უხარებს, თუმცა კი თავად სამოსელიც და მისი სხვადასხვა კომპონენტის შეხამებაც (ისევე, როგორც მოდა) დროთა განმავლობაში საგრძნობლად იცვლება. მაგალითად, უწინ ქალბატონების ხელჩანთა ფეხსაცმელთან ჰარმონიაში უნდა ყოფილიყო, ახლა კი აქსესუარები, რომ იტყვიან, „საკუთარი სიცოცხლით“ ცხოვრობენ და, ამდენად, სხვადასხვა ფერის ხელჩანთის ტარებასა და ფეხსაცმლის ჩაცმას მოდელიერები ქალებს სთავაზობენ კიდეც.

ხელჩანთა და ფეხსაცმელი

თანამედროვე დიზაინერები იმ აზრისანი არიან, რომ აქსესუარები სამოსელის ცალკე ატრიბუტებია, ამიტომაც მათი კონტრასტულობა სავსებით დასაშვებია. უმრავლესობა მათგანი სხვადასხვა ფერის ხელჩანთისა და ფეხსაცმლის ტარების რჩევასაც იძლევა.

ძამარი

თუკი შარვალს ან ქამრის გასაყრელებიან ქვედაბოლოს ატარებთ, მაშინ მისი ტარება აუცილებელია, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, თუკი პერანგს ან მაისურს ჩაიტანიებთ.

სანდლები და წინდა

შეცდომაა იმის ფიქრი, რომ კოლგოტსა და წინდებს სანდლებზე არ იცვამენ. პირიქით, ეს ძველი კლასიკური შეხამებაა, რომელსაც „მილანურ შიკს“ უწოდებენ. სხვა საქმეა, რომ წინდაც და კოლგოტებიც ამ დროს გამჭვირვალე და უნაკერო უნდა იყოს, ხოლო შორტის ქვეშ მათი ჩაცმა მდარე გემოვნების ნიშანია.

შარვალი და ძუსლი

მაღალძუსლიან ფეხსაცმელზე, მოკლე შარვლის ჩაცმა არ შეიძლება, გამონაკლისი მხოლოდ ძალიან ვიწრო შარვლებია, რომლებიც ფეხს წვივის ნახევრამდე ფარავს. ყველა დანარჩენ შემთხვევაში შარვალი ქუსლს ბოლომდე, უკიდურეს შემთხვევაში ნახევრამდე უნდა ფარავდეს.

საცვლები

ისინი არც უნდა ჩანდეს, არც სამოსელში ლანდავდეს. ამასთან, გაცილებით უარესი ვარიანტია აზღუდების სილიკონის ბრეტელების გამოჩენა, რომლებსაც ბოლო დროს ბევრი ქალბატონი მოშიშვლებულ მხრებიან ტანსაცმლის ქვეშ ატარებს. ამ დროს იდეალური ვარიანტია უბრეტელო ბიუსჰალტერი.

პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია დღეს დაიწყება

2016-2017 სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია დღეს, 09.00 საათზე დაიწყო და 25 მაისს, 20:00 დასრულდება. ამის შესახებ განათლების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა განაცხადა.

რეგისტრაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ ვებგვერდზე – registration.emis.ge-ზე განხორციელდება. რეგისტრაციაზე გადასვლა შესაძლებელი იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ბმულიდანაც.

რეგისტრატორი რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციას მიიღებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით.

ახალი სასწავლო წლისთვის პირველკლასელებისთვის 70 500 ადგილია გამოყოფილი, ამ ეტაპზე დარჩენილია 52 ათასზე მეტი თავისუფალი ადგილი.

**რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.**

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– მოხვედი ჭიჭიკია სახლში?!. მადლობა ღმერთს!!. თვარა, „მოამბეში“ გადმოსცეს, ქალაქში რაცხა არეულობაა, მოედანზე ვინცხას ფიტული დოუწვავთო...

* * *

სამახსოვრო. თუკი მართლა ცხენივით მუშაობთ, ცოტა ხანს შეისვენეთ, თამბაქოს ორი-სამი ნაფაზი დაარტყით... მიღებული ნიკოტინი თქვენში პირუტყვს აუცილებლად მოკლავს!

* * *

– როგორა ხარ, შაქრო?

– კარგა ვარ, ბიჭი წამამეზარდა – ადრე სწავლა არ უნდოდა, ახლა მუშაობა ეჯავრება ჭირის დღესავით!..

* * *

ძმარი ეუბნება ცოლს:

– ძვირფასო, ეს წვნიანი 20 ლიტრი მაინც უნდა მოგეხარშა.

– ასე მოგეწონა, ჩემო კარგო?

– არა, უბრალოდ მაშინ ასეთი მლაშე აღარ იქნებოდა...

* * *

მკაცრი დიეტის დაცვის აუცილებლობაზე აზრი, ჩვეულებრივ, კაცს ნოყიერი სადილის შემდეგ მოსდის და შემდეგ ვახშამდე ნახევარი საათით ადრე სადღაც ქრება.

* * *

მასწავლებელი ეკითხება პატარა მიხოს:

– რატომ აკეთებს საშინაო დავალებებს შენს მაგივრად მამაშენი?

– იმიტომ, რომ დედიკოს დრო არა აქვს.

პატარა გიგა საადგომოდ დაასაჩუქრეს

9 წლის გიგა ზარიძეს დაბადებიდან ერთ წელში მედიკოსებმა კუნთების განლევის დიაგნოზი დაუდგინეს. დაავადება არ იკურნება, თუმცა შესაძლებელია პატარასთვის სიცოცხლის გახანგრძლივება, ამისთვის ბავშვს სამედიცინო დახმარება სჭირდება, თუმცა ამ ყველაფრისთვის ოჯახს სახსრები არ აქვს. გარდა ამისა, საცხოვრებელი, სადაც დედა-შვილი ამ დრომდე ცხოვრობდა, მათ საკუთრებას არ წარმოადგენდა და იყო მძიმე პირობები. იგივე დიაგნოზით გიგას ერთი წლის წინ, უფროსი და, 10 წლის მარიამ ზარიძე გარდაეცვალა. სამშენებლო კომპანია „მეგობრობა“ 9 წლის გიგა ზარიძეს საადგომო საჩუქარი გაუკეთა და მშენებარე სახლში ერთოთახიანი ბინა გადასცა. როგორც სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელმა და ინვესტორმა მამუკა არევაძემ განაცხადა, ბინის მშენებლობა ერთ წელში დასრულდება და მძიმე დიაგნოზის მქონე გიგა თავის ოჯახთან ერთად მალე საკუთარ სახოვრებელში გადავა, რის შემდეგაც გიგას მკურნალობა და ყველა სერვისის მიღება გაცილებით გაადვილდება.

ამ დრომდე გიგა ზარიძე თავის ოჯახთან ერთად სოფელ არმაზში ცხოვრობდა, რის გამოც ბავშვი ვერც სამედიცინო დახმარებას იღებდა, ვერც სკოლაში დადიოდა და ვერც ეზოში გადიოდა.

პატარა გიგა, რომელსაც გადაადგილება მხოლოდ ეტლის დახმარებით შეუძლია, სამშენებლო კომპანია „მეგობრობის“ წყალობით შეძლებს ეზოში გამოსვლას და სამედიცინო დახმარების მიღებას.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
**6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.**
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.231; ევრო - 2.513;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.204;
100 რუბლი - 3.367; თურქული ლირა - 0.787;
აზერბაიჯანული მანათი - 1.487;
1000 სომხური დრამი - 5.664

ამინდი 4 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +9,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +4,	დღე +26
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +10,	დღე +28
მთიანი რაიონები -	ღამე +7,	დღე +25
თბილისი:	ღამე +12,	დღე +27

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE